

ԵՐԵՎԱՆԻ ՏԵՂՄԱՆԻ ՑԱՏՔԻ ՑՈՒՑԱԿԱՀԱՅ



აჯარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA



დავით მინდორაშვილი
DAVID MINDORASHVILI

არქეოლოგიური ბათუმის
პეტრა-ციხისძირი

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT
PETRA-TSIKHISDZIRI

გათუმა 2021 BATUMI

UDC (შაპ) 94(479.22)+902(479.22)+737(479.22)
გ-688

ქობულეთიდან სამხრეთით შვიდი კილომეტრით დაშორებულ ზღვისპირა კლდეზე მდებარე ციხისძირის ციხე მოგზაურთა თუ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მოექცა. ციხის ტერიტორიაზე ბოლო წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოივლინა სასანტერესო მასალა, რომელმაც სრულიად ახლებურად გააშუქა ციხისძირის და ზოგადად ეგრისის სამეფოს ისტორიის რიგი საკითხები. მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილსა აღმართული სიმაგრე აქტიურად იყო ჩაბმული ბიზანტიასა და ირანს შორის ამტყდარ სასტიკ იმში, რომელიც ისტორიაში ცნობილია ეგრისის „დიდი ომიანობის“ სახელით. ამ ომის კვალი ციხის ზოგიერთ ნაგებობაში თვალითალივ არის შემორჩენილი. ნაშრომი ეძღვნება ციხის ტერიტორიაზე 2016-2017 წლებში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ადრეული შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი მასალების პუბლიკაციას. წიგნი განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

Set on a high seashore rock seven kilometers south of Kobuleti, the fortress of Tsikhisdziri drew attention of explorers and scholars as early as in the 19th century. Archaeological excavations conducted in recent years revealed interesting material that provided totally novel understanding of a number of problems of history of Tsikhisdziri and, in general, the kingdom of Egrisi. Built on a significant strategic location, the fortress was actively involved in the brutal war fought between Byzantium and Iran which was referred to as 'great hostilities'. Some of the structures of the fortress have preserved traces of this war. The work is dedicated to publishing major early medieval materials obtained as a consequence of the archaeological excavations conducted on the territory of the fortress in 2016-2017 with financial support of Cultural Heritage Preservation Agency of Ajara. The publication is intended for archaeologists, historians and for general readers interested in the past of our country.

რედაქტორი: ისტორიის დოქტორი, პროფესორი გიორგი თავამაიშვილი

Editor: Dr. History, Professor **Giorgi Tavamaishvili**

ინგლისური რეზიუმე: ნინო გაბუნია

The summary translated by **Nino Gabunia**

ტექნიკური რედაქტორი: ლაშა ასლანიშვილი

Technical Editor: **Lasha Aslanishvili**

დიზაინი: დალი ჯვარშეიშვილი

Desing: **Dali Jvarsheishvili**



საქართველო
მემკვიდრეობის
დაცვის სამინისტრო



CULTURAL HERITAGE
PRESERVATION AGENCY
OF AJARA

ISBN 978-9941-9738-5-7

თ ა ვ ი

ციხისძირის გესავლის ისტორია

ციხისძირის ციხემ, რომელიც ქობულეთიდან სამხრეთით 7 კილომეტრის დაშორებით, ზღვისპირა მაღალ კლდეზე მდებარეობს, მკვლევართა ყურადღება ჯერ კიდევ XIX ს-ის 80-იანი წლებიდან მიიპყრო და ინტერესი მის მიმართ დღემდე არ განელებულა (ტაბ. I₁₋₄). ეს ინტერესი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმითაც, რომ მკვლევართა უმრავლესობა ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ ციხე-ქალაქ პეტრას ციხისძირთან აკავშირებს.¹

ციხისძირის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ნივთების შემთხვევით აღმოჩენებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, გაზიეთში „ივერია“ გამოქვეყნდა ცნობა თურქი ჯარისკაცების მიერ ციხისძირში სანგრების თხრის დროს ძვირფასი ნივთების შემცველი სამარხების აღმოჩენისა და გაძარცვის შესახებ. აღნიშნული ცნობა შესაძლოა რამდენადმე გაზიადებულია, მაგრამ ყურადსალები [ინაიშვილი ნ. 1993: 6].

XIX ს-ის ბოლოს, ციხისძირში ბათუმის ნავსადგურის ჯებირისათვის ქვის მოპოვება წარმოებდა, რაც განადგურებით ემუქრებოდა ძეგლს. არქეოლოგის მოყვარულთა საზოგადოების დაუინებული მოთხოვნით ქვის მოპოვება ციხისძირში შეწყდა [ინაიშვილი ნ. 1993: 6].

XX ს-ის დასაწყისში ციხისძირის სანაპირო ზოლში აგარაკების მშენებლობისას ადგილი ჰქონდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნივთების შემცველი განძების აღმოჩენებს. მათი ნაწილი მუზეუმებში მოხვდა, ნაწილი კი დაკარგულად ითვლება.

1. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: ქობულეთის სამხრეთით, „ზღვის კიდეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალსა კლდესა ზედა შენი. აქუს გვირაბი-კლდე გამოკუეთილი გზად“ [ქართლის ცხოვრება 1973: 792_{გ.ვ.}]. მკვლევარებს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოხსენიებული ქაჯეთის ციხე ციხისძირის ციხედ მიაჩნიათ [ჯანაშია ს. 1949: 39; სიხარულიძე ი. 1962: 25].

მნიშვნელოვანი ისტორიული ინფორმაციის შემცველია ციხისძირის მიდამოებში მიკვლეული ახ. წ. პირველი საუკუნეების დამღიანი აგური, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. ინტერესს იწვევს ციხისძირთან ნაპოვნი გვიანანტიკური ხანის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთების კოლექცია, რომელიც ერმიტაჟში მოხვდა. ციხისძირის ტერიტორიებიდან ცნობილია ნუმიზმატიკური აღმოჩენებიც. ნუმიზმატიკურ მონაპოვარში გვხვდება მონეტები, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, გვიანდელი შუა საუკუნეების ჩათვლით [ინაიშვილი ნ. 1993: 6-7].

1934 წელს ციხისძირში მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ს. ჯანაშიამ. გათხრების შედეგები იმავე წლის ოქტომბერში მოხსენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის სახელობის ინსტიტუტს — „შედეგები პირველი არქეოლოგიური ექსპედიციისა პეტრა-ციხისძირში“ [ჯანაშია ს. 1949: 44]. განათხარი მასალის შენახვის ადგილი უცნობია.

1953 წელს ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით ციხისძირში ჩატარდა დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები. მიღებული შედეგები წაკითხულ იქნა მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესიაზე [ხოშტარია ნ. 1953: 17]. 1962 წელს მანვე გამოაქვეყნა ნაშრომი — „ციხისძირი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში“, რომელიც ძირითადად მიეძღვნა ციხის მიდამოებში გასული საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი და ერმიტაჟში დაცული, ზემოთ უკვე ნახსენები გვიანანტიკური ხანის არტეფაქტების პუბლიკაციას. 1953 წელს ციხისძირის არქეოლოგიური დაზვერვების შედეგების შესახებ ამ ნაშრომში ავტორს თითქმის არაფერი უწერია [ხოშტარია ნ. 1962].

1962-1965 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ა. ინაიშვილი) გათხრებს აწარმოებდა ციხისძირის ციხის ტერიტორიაზე. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ციხე-სიმაგრის ნაშთები განლაგებული იყო ორ ბორცვზე (ტაბ. XXX). ჩრდილოეთის შედარებით დიდ, მაღალ ბორცვზე მდებარე სა-

Յորդիոցի կապում և սուբյեմա դա մու մուգնու շատերու նացեծոնքի մոինելլ ոյնա ծոխանքուր ներուղութիւն նպարութիւն արայրութիւն մուսենութիւն պուե-քալայ քետրաս ցութագութագ (դաձ. I, 4). ցութագութիւն որմացու կը դուռ- ծութ դակազմուրեցուլու ուղա մու մաս սամերեւու մուցեար ծորութիւն ալմարու կոմպան (դաձ. II-IV, XXX). ցութագութիւն ցատեարա: կարութիւն, VI և-ու ածան, ցուստերնա-սանցութիւն. յմնութեալուանց ալմոհինագ յնդա հաւառալու X և-ու դարձաթու յըլլուսու յըլլու VI և-ու դատարութեցուլու դուդու սամնազուա- նո ծածուլուց ցամուլենա (դաձ. XXX). տացու մերու, ծածուլուց յըլլու մուցու- լու ոյնա կուդա յըրու նացեծու, րոմելու յուժու ժայռու յըլլու յըլլուսու նա- մու յնդա ուղու [օնականութիւն ա. 1974: 118-153].

շատերու մոմդունարութիւն ացրեւու ցուեսենու սամերեւ ծորութիւն, սագաւ ալմոհինդա կոմպան նամերեւ. ցուե-սոմացրու սամերեւու դա հրդու- լուրու ծորութիւն դամակազմուրեցուլու թուլու որմաց կը դուռ- վուլունդա դասավուրեւ կը դուռ- ծութիւն արսեցուլու կարութիւն դա կարութիւն մուշեն- ծուլու կոմպան (դաձ. XXX). ամրոցագ, ծորութիւն ացեցուլու ցուե-սոմացրու դա սասոմացրու կը դուռ- ծութիւն մուցնու արսեցուլու նացեծութիւն մուցուլու արտա մուր մոինելլ ոյնա քետրաս մուգնու այսու պուլուսագ, սամնազուանո ծածու- լու քա - քետրաս սակատեւ դրու դամրագ, եռու տայու յալայ, մատու ածրու, արսեցուլու ցուես հրդուլուրու թուլու [օնականութիւն ա. 1973: 33-34; 1974: 102-118; օնականութիւն 6. 1993: 5-14].

յալայ քետրաս ցուեսենու մուգնութիւն արսեցուլու նամուսակլար- ծութիւն սատութեալթիւ յնդա ալմուցենեցուլու յու, րոմլութիւն յըլլու գուան- ծութիւն ադրերկունու, ադրեանքուրու, յլունուսիւրու դա գուանանքուրու- րու-ադրե յուա սասունեցու եանու յուլութիւն ունեած [օնականութիւն ա. 1973; 1974: 149-152].

1983-1988 նույն ծատումու 6. ծերմենութիւն սակելու սամեցնու- րու-յուլութիւն ունեած յըլլութիւն յըլլութիւն ամացնութիւն (ելումդ. դ. եակագութիւն) ցուեսենու արյեու յըլլութիւն ցատերու ցանակլա. սամութեալու ամյերագ մոմդունարութիւն ցուես հրդուլուրու թուլու պուրա դա ծութ- ծութիւն տրութուրութիւն, սագաւ մուցուլու արտա ածրու, քետրաս նայալայ ուղա յամենեցուլու. ալնութեալու տրութուրութիւն յըլլու սաներց մեյրնութիւն. չեր

კიდევ 1966 წელს აქ ნაწილობრივ გაითხარა პაზილიკის ნაშთები, სადაც აღმოჩნდა: მარმარილოს დეტალები, ქვის კაპიტელისა და მოზაიკის ფრაგ-მენტები.

1983-1988 წლებში წარმოებული გათხრებისას აღმოჩენილი მასალები თარიღდება წინარე ანტიკური ხანიდან (გარკვეული წყვეტილებით) ვი-დრე ადრეული შუა საუკუნეების ჩათვლით. 1983 წელს სანერგეს სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის აბანოები. იმავე წელს სანერგეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში მიკვლეულ იქნა და 1983-1987 წლებ-ში ითხრებოდა ადრეანტიკური-ელინისტური ხანის ვრცელი სამაროვანი. სამაროვანი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ვრცელდება და ძველი დიუ-ნის ზოლს გასდევს. დიუნებში გამოვლენილი სამსხვერპლოს ნაშთები ჩაჭრილი იყო ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხებით. საკუ-თრივ ელინისტური ხანის სამარხები ნაწილობრივ იყო დაზიანებული ახ. წ. IV ს-ში სამაროვანზე გამართული ნაგებობით. ადრეანტიკური და ელინი-სტური ხანის სამაროვნის დასავლეთ პერიფერიაზე გაითხარა 14 გვიანან-ტიკური-ადრეული შუა საუკუნეების ხანის სამარხი. სანერგის ცენტრა-ლურ ნაწილში შესწავლილ იქნა დიდი ზომის (600 m^2) IV-V სს-ის სხვადასხვა ფუნქციის მქონე საზოგადოებრივი ნაგებობის ნაშთები [ინაიშვილი ნ. 1993: 42-43].

სანერგის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი: უძველესი ფენა წინაანტიკური ხანისაა და იგი უკავშირდება დიუნურ სადგომებს, რომ-ლებიც ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება. მომდევნო პერიოდი ადრეანტიკუ-რი-ელინისტური ხანის სამაროვნით არის წარმოდგენილი და ქრონოლო-გიურად ძვ. წ. V ს. — ძვ. წ. II-I სს-ში ექცევა. მომდევნო პერიოდი IV-VI სს-ის არქიტექტურული ძეგლებით (აბანოები), კულტურული ფენებითა და სა-მარხებითაა წარმოდგენილი. სამარხები ზოგადად III-VI სს-ის ქრონოლო-გიურ ჩარჩოებში ექცევა. მათი უმრავლესობა IV-V სს-ს განეკუთვნება.

ციხისძირში და მის მიდამოებში მიკვლეული გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები შეისწავლა ნ. ინაიშვილმა, რომელმაც აღნიშნულ ძეგლებს მონოგრაფიული გა-მოკვლევა მიუძღვნა [ინაიშვილი ნ. 1993: 43-44]. 1962-1966 წლებში

ციხისძირში და ბობოყვათში აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების მინის არტეფაქტები სამეცნიერო მიმოქცევაში ლ. ჩხაიძემ შემოიტანა [ჩხაიძე ლ. 1978: 59-66].

2016-2017 წლებში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით, ციხისძირში განხორციელდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რასაც წინ უძლოდა ციხის რამდენიმე უბანზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება. პროექტის არქეოლოგიურ ნაწილს ხელმძღვანელობდა ციხისძირის ცნობილი მკვლევარი ნინო ინაიშვილი, ექსპედიციას - წინამდებარე ნაშრომის ავტორი.²

ნაშრომი ეხება ციხის (აკროპოლისის) სამხრეთ ნაწილში №5 კოშკში აღმოჩენილ უაღრესად საინტერესო მასალას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია პეტრა-ციხისძირის იგივეობისა და ეგრისის „დიდი ომიანობის“ არაერთი საკითხის გასარკვევად. გათხრების წინასწარული შედეგები გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალში - „ქრონიკი“ (№1) [მინდორაშვილი დ. 2020: 204-234].

ციხის სამხრეთ ნაწილში, იქ სადაც ზღუდის ორმაგი კედლებია აღმართული, არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1962-1966 წლებში ჩატარდა. აკროპოლისის სამხრეთი და ჩრდილოეთი ბორცვების დამაკავშირებელი ზღუდის ორმაგ კედლებთან გამოვლინდა დასავლეთ კედელში არსებული კარიბჭე და კარიბჭეზე დასავლეთიდან (ზღვის მხრიდან) მიშენებული სწორკუთხა გეგმის კოშკი (ტაბ. XXX). ამავე მიდამოებში აღმოჩნდა მიწისქვეშა წყარო. ძეგლის გამთხრელის აზრით, შესაძლოა, ეს იყო პროკოპი კესარიელის თხზულებაში ნახსენები პეტრას საიდუმლო წყარო, რომელიც თავის დროზე ოსტატურად ჰქონდათ შენიდბული ციხეში გამაგრებულ ირანელებს [გეორგიკა 1965: 179-180; ინაიშვილი ა. 1974: 129-130]. მაშინ, ზღუდის ორმაგი კედლები შესწავლილ იქნა ციხის სამხრეთ ფერდამდე ანუ იქამდე, საიდანაც იწყება მკვეთრი აღმართი ციტადელის ზედა ნაწილისაკენ (ტაბ. II, IV).

2. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გ. ლალიაშვილი (2016 წ.), გ. გოგოლაძე, ნ. რეზესიძე (2017 წ.) (არქეოლოგები); თ. ასაბაშვილი (2016-2017 წე.) (არქიტექტორი). ექსპედიციის მიერ მიკვლეული არტეფაქტები ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში.

2016 წლამდე ეს ადგილი დაფარული იყო ნანგრევების დიდი მასით. აღნიშნულ წელს ამ მიდამოებში გაიწმინდა ორმაგი ზღუდის აღმოსავალეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილი (ტაბ. IV₂). ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მთლიანად გამოჩენდა კედლის ხუთი კამაროვანი თახჩა, რომლებიც მანამდე ნაწილობრივ ან მთლიანად იყო მიწით დაფარული (ტაბ. III₁, XXXII₄). კედლის სამხრეთ მონაკვეთზე არსებული თახჩები თავის დროზე „ქულბაქების“ — სავაჭრო ფარდულების გასამართავ ნიშებად მიიჩნიეს (ტაბ. XXXII₄) [ინაიშვილი ა. 1974: 128].

ამავე უბანზე სამუშაოები მიმდინარეობდა ორმაგი ზღუდის დასავალეთ კედელთანაც, სადაც დიდი რაოდენობით იყო კონცენტრირებული ზღუდის კედლისა და კოშკის ნანგრევები (ტაბ. II₂, IV₂). 2016 წელს ამ ადგილის ნანგრევებისაგან სრულად გაწმენდა ვერ მოესწრო, ამიტომ სამუშაოები მომდევნო წლისთვის გადაიდო.

თ ა ვ ი ॥

მახუთა კოშკის გათხრები

2017 წელს აკროპოლისის ჩრდილოეთი და სამხრეთი ბორცვების და-მაკავშირებელ კედლებს შორის არსებული ტერიტორიის ნანგრევებისა-გან სრულად განმენდის შემდეგ, ამ ადგილას აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კოშკი, რომელიც აღმოსავლეთი მხრიდან მიშენებული იყო ორმაგი ზღუდის დასავლეთ კედელზე (ტაბ. II, IV, V, XXX). ნანგრევების მოცულობის მიხედვით, კოშკი სამი თუ არა ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. ციხის გენგეგმაზე დღემდე მხოლოდ ოთხი კოშკი იყო აღნი-შნული. 2017 წელს შესწავლილი მანამდე უცნობი კოშკი რიგით მეხუთეა. ამდენად, ის დაინომრა როგორც — კოშკი №5 (ტაბ. XXX).

კოშკი გეგმით კვადრატულია ($4,10 \times 3,80$ მ) (ტაბ. VI₁, VII₂, XXXI₁). ნა-გებობის სამხრეთი კედელი მასიურია. მისი შემორჩენილი სიმაღლე 2,50 მ-ია, სიგრძე — 6 მ (ტაბ. V-VI). კედლის ცოკოლის სიმაღლე 1,50 მ-ია, სისქე — 1,40 მ. ცოკოლზე დაუშენებიათ უფრო ვიწრო — 1-1,10 მ სი-სქის კედელი (ტაბ. VI₁₋₂, VII₁).

აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 7,50 მ-ია, სისქე — 1,20 მ. შემორჩენი-ლია 2,50 მ სიმაღლეზე (ტაბ. IX₁₋₂, XI₁). ცოკოლის არსებობა აღმოსავლეთ კედელზეც შეიმჩნევა.

ჩრდილოეთი კედლის სიგრძე 5 მ-ია, სისქე — 1,40 მ. შემორჩენილია 1,80 მ სიმაღლეზე (ტაბ. X₁₋₂). სხვებთან შედარებით, ის კარგადაა დაცული. სამივე კედელი ნაგებია დიდი, საშუალო და მცირე ზომის ქვებით კირ-სნარზე.

კოშკს აგურებით ამოყვანილი 1 მ სიგანის შესასვლელი აქვს ზღუდის დასავლეთ კედელში,³ რომელზეც ის იყო მიშენებული. აგურების წყობა 1,20 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. კარის ზედა ნაწილი თაღოვანი იყო თუ

3. ზღუდის კედლის სისქე 1,40 მ-ია. მისი სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 12 მ-ს აღნევს (ტაბ. II₁₋₂).

სწორკუთხა, ძნელი სათქმელია (ტაბ. XI₂, XXXI₁₋₂). კართან, ზღუდის კედლის სამხრეთ ნაწილში, ურდულის გასაყრელი ოთხკუთხა ნიშია (სიგრძე 2,70 მ, სიგანე 18 სმ, სიმაღლე 24 სმ).

კოშკის ჩრდილოეთ ნაწილში, პირველი სართულის მიწატკეპნილი იატაკის დონეზე გამოვლინდა კერა, რომელიც წარმოადგენდა პირქვე დამხობილი დერგის ზედა ნაწილს (ტაბ. VIII₂). კერასა და კოშკის ჩრდილოეთ კედელს შორის, იატაკის დონეზე გაიწმინდა ორი სწორკუთხა აგური (ტაბ. VIII₁). შენობა გადახურული ყოფილა ბრტყელი კრამიტით. გათხრებისას მათი არაერთი ნიმუში აღმოჩნდა (ტაბ. XIX_{20-24,29,31}).

კოშკი და ზღუდის დასავლეთი კედელი ერთდროულად ყოფილა აშენებული. ზღუდის კედელში თავიდანვე იყო გათვალისწინებული კოშკის კარი და მისი საკმაოდ ღრმა — 2,70 მ სიგრძის საურდულე ნიში, რომელიც იმდენად ოსტატურადაა გამოყვანილი, რომ შეუძლებელია, ის კედლის აშენების შემდეგ გაეკეთებინათ.

საყურადღებოა, რომ ერთდროული მშენებლობის მიუხედავად, სასიმაგრო კედელსა და კოშკის კედლებს შორის გადაბმა არ არის. კოშკის კედლები უბრალოდ მიშენებულია (მიდგმულია) ზღუდეზე. ამით დაცულია ბერძნული ციხე-სიმაგრეების მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — ქვის წყობებით არ ყოფილიყო გადაბმული ორი ან რამდენიმე შენობა (ამ შემთხვევაში ზღუდის კედელი და კოშკი), რათა მტრის მიერ საბრძოლო მანქანებისა თუ სხვა საშუალებების გამოყენებისას ერთი ნაგებობის დანგრევას არ გამოეწვია მეორის განადგურებაც [Winter F. 1971: 167]. საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის ეს პრინციპი ჩვენში ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში გამოიყენებოდა (ვანი) [გამყრელიძე გ. და სხვ. 2005: 105]. მშენებლობის ანალოგიური წესი ნებელდის თავდაცვით ნაგებობებზეც გვხვდება [Воронов Ю., Бгажба О. 1985: 56]. რელიეფის მკვეთრი დახრილობის გამო, კოშკის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების საძირკვლის დონეებს შორის სხვაობა 2,30 მ-ია (ტაბ. XXXI₂).

კოშკში გამოვლინდა ძლიერი ხანძრისა და ნგრევის კვალი, რაც გამოწვეული ყოფილა საომარი მოქმედებებით (ტაბ. XI₁). ნაგებობის მთელი ფართობი სავსე იყო კედლების ნანგრევებით. მთლიანად იყო დამწვარი პირველი სართული, სადაც ჩამოყრილა სართულშუა გადახურვის ძელები.

ნგრევისა და ხანძრის შედეგად კოშკის სამხრეთი კედელი 0,40-0,45 მ-ით მოწყვეტილა ზღუდეს, რომელზეც ის იყო მიშენებული და სამხრეთით 1-1,20 მ-ით გადაწოლილა (ტაბ. VI₂, IX₂, XXXI₁₋₂). აღნიშნული კედლის მხოლოდ მცირე ნაწილიდა შერჩენილა ზღუდეზე (ტაბ. XII₁₋₂). კედლის გადაწოლის შედეგად, გრუნტსა და კედელს შორის დაახლოებით 1,70 მ სიღრმეზე და 1,60 მ სიგანეზე გაჩენილა თავისუფალი სივრცე, რომელიც შევსებულა ნახანძრალი არტეფაქტებით (ტაბ. XXXI₂). განსაკუთრებით ძლიერ დაზიანებულა აღმოსავლეთი კედელი, რომელიც საძირკვლიანად გადაწოლილა და შუაზე გახეთქილა (ტაბ. XI₁, XXXI₁). ზღუდეს არის მოცილებული კოშკის ჩრდილოეთი კედელიც და მათ შორის თავისუფალი სივრცეა დარჩენილი. თუმცა, კედლის ვერტიკალობა არაა დარღვეული (ტაბ. X, XII₂, XXXI₂).

ადრეულ შუა საუკუნეებში ციხე-სიმაგრეებზე შეტევისას კედლების ნგრევის სხვადასხვა ხერხებთან ერთად მოალყები ხშირად იყენებდნენ ისეთ ხერხს, როგორიცაა კედლის ძირის გამოთხრა, იქ მძლავრი ცეცხლის გაჩაღება და ასეთი ქმედებით მისი ჩამოშლა. არაა გამორიცხული, რომ ციხისძირის №5 კოშკზე იერიშისას, მომხდურმა ციხე-სიმაგრეთა ნგრევის სწორედ ეს ხერხი გამოიყენა. ამგვარი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს კოშკის აღმოსავლეთი კედლის სავალალო მდგომარეობა.⁴

არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი კოშკის სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების გადაწოლის შემდეგ, კედლებსა და გრუნტს შორის შექმნილ თავისუფალ არეებში მოხვედრილა. ნახანძრალი ფენის სიმძლავრემ აღნიშნულ სივრცეებში 1,90 მ-ს მიაღწია.

გაირკვა, რომ კოშკის მცველებს არა თუ ვერ მოუხერხებიათ ნაგებობიდან ნივთების გატანა, არამედ კოშკიდან თვითონაც ვერ გასულან და ხანძარსა და ნგრევაში მოყოლილან. ყოველ შემთხვევაში, თუ ყველა არა, კოშკის მცველთაგან ზოგიერთი მაინც ადგილზე დაღუპულა. ამაზე მეტყ-

4. ბრძოლის ეს ხერხი ადრეულ შუა საუკუნეებში კარგად იყო ცნობილი. პროკოპი კესარიელი ამგვარად აღწერდა ორანელების მიერ პეტრას ციხე-ქალაქზე შეტევის ერთ-ერთ ეპიზოდს: „სპარსელებმა რომ მინაში მალულად გვირაბი გაიყვანეს, ერთ-ერთი კოშკის ქვეშ აღმოჩნდნენ; იქიდან გამოალაგეს მრავალი ქვა და მათ ადგილას შეშები ჩააწყვეს, რომელთაც ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლი ნაუკიდეს. ალი რომ თანდათან ზევით იწევდა, ქვების ძალა შეარყა, მთელი კოშკიც შეანძრია და უეცრად ძირს დაანარცხა“ [გეორგია 1965: 86]. მართალია, ციხისძირის №5 კოშკზე იერიშის მიმტანები ამ შემთხვევაში ბიზანტიიელები იყვნენ (დაწვრილებით იხ. ქვემოთ), მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ბრძოლის ამგვარ ხერხს ბერძნებიც წარმატებით იყენებდნენ.

ველებს ნაგებობის სხვადასხვა ნაწილში მიკვლეული ადამიანთა დამწვარ-დანახშირებული ძვლების ფრაგმენტები. კოშკის განსაკუთრებული სისასტიკით განადგურების შემდეგ, ამ ადგილის გაწმენდა და მისი ხელახლი გამოყენება არავის უცდია.

კოშკში მიკვლეული მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტები საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია, როგორც საკუთრივ ადრეული შუა საუკუნეების ციხისძირის ისტორიისათვის, ისე ზოგადად ეგრისის სამეფოს იმ უაღრესად რთული პერიოდისათვის, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურამი ცნობილია, როგორც „დიდი ომიანობა“ ეგრისში.

Յ Ա Յ Ո III

ՅՐԹԱՅԻՍ ԱԽԵԿԱՆԱԿԱՆ ՑՈՒՑԱՆ

§ 1. ԿԵՐԱԺՈՎԱ. Կոմիտ մրացալրութեռքանո գանատեարո կյուրամուկուդան ալսանունազուա վազարուս էուրագմենտո, ռոմելսապ էուր վազմոտ Շեմուսպան բա րելուցուրո գալլուզանո սարգուլո (Քած. XIV₆). Ճաճելու- ծուո մսցազու որնամենտուու Շեմուլո կյուրքուլո մրացլաձա ալմոհենո- լո Ենքելուու չուեթո [Վորոնու Յ., Եղանու Օ. 1985: Քած. 31-40]. Մսցազու որնամենտու մյուն վազարուս էուր-պալուս օրագմենտո ցնունուու նոյելա- վազու Խ-Խ₁₄₇₁].

Տացուսո ցուրմուո գամորհելուա յըտո գուգու կյուրքուլո, ռոմելուս մա- սույր էուր Ցեմունան Շեմուսպան բա ժարտու լարու. պալո ճաճալուա. մերեն Շեմուլուա կոնցենտրուլո րելուցուրո ხանցենու սարգուլուո. մեարչու Շե- մորհենուու օվալուրցանուզպատուանո պարուս կացլո (Քած. XIV₂). Մսցազու ցուրմա-մուսպանուու կյուրքուլո ալմոհենուու վայտաւու Խ-Խ₁ և ալուա կյուլուրուլ յենամու [լանհիազա ո. 2015: Սյուր. 134].

Կոմիտ հիրճուու կյուրքու գամուլուն գյուրա, ռոմելու նարմու- ճական անու պարունուն նախուն նախուն. կյուրքու էուր մասույրուա, պալո ճաճալու, մերեն գանուրու. տուս մոհալուու գամունարո (Քած. VIII₁₋₂, XIV₃). Կյուրուս ցաւարժու ալմոհեն մեուրու գուգու կյուրքու նափեենու, ծրուցու էուրուտա և սենուրու գանուտ. մուսո ցունյէւու ծռումու գարկազուլու ար արուս (Քած. XIV₁).

Կոտենենու մրացալրութեռքան նափեենու գամուրհեզա մոնրդուու կյուրքուլո, ռոմելուս պարուս Շեմուլուա մոկլու նափեենուու (Քած. XIV₄). Րամ- ճանաճմու մսցազու որնամենտու մյուն կոտենու ցաւազեն զարգունու Խ-Խ₁₄₋₅₈₉].

Ճաճարհեն կոտենեն տուումուս յըտնաուրու ցուրմա այցա. ուսուն եասուա- ճենու շամունուու էուրուտ, ճաճալու պալուու գամոիւրու մուլուու. պալու

სადაზედაპირიანია (ტაბ. XIV₅, XV₇₋₁₇). ამგვარი ფორმა დამახასიათებელია ეგრისის ადრეული შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან მომდინარე ქოთნებისათვის. მსგავსი ფორმის ქოთნები აღმოჩენილია: საკუთრივ ციხისძირის გათხრებისას [ინაიშვილი ნ. 1981: 133; 1993: ტაბ. XXV₁₋₅]. ამგვარი ჭურჭელი არაერთია ცნობილი ვარდციხიდან [ჯაფარიძე ვ. 1989: 87-88, ტაბ. XVII₂, XVIII₁], ნოქალაქევიდან [ლომიტაშვილი 2014: 43, ტაბ. XXII], წებელდის ციხიდან [Воронов Ю., Бгажба О. 1985: ტაბ. 69-70] და სხვ.

კოშკი ლუთერიის ერთი ნიმუშია აღმოჩენილი. მას აქვს განიერი პირი და მკვეთრად დაქანებული კალთები (ტაბ. XV₁₈). ლუთერიები ფართოდაა გავრცელებული ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე. მსგავსი ფორმის ჭურჭელი ცნობილია: ციხისძირიდან [ინაიშვილი ნ. 1981: 133; 1993: 58], ნოქალაქევიდან [ლეკვინაძე В., ხვედელიძე Л. 1981: 137; ლომიტაშვილი დ. 2014: 39-40], ვარდციხიდან [ჯაფარიძე ვ. 1989: 83-84], წებელდის ციხიდან [Воронов Ю., Бгажба О. 1985: ტაბ. 60-62] და სხვ.

სუფრის ჭურჭელში გამოირჩევა ტუჩიანი დოქი დაბალი ფართო ყელით (ტაბ. XV₃). დაახლოებით მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია წებელდის ციხეზე [Воронов Ю., Бгажба О. 1985: ტაბ. 81]. დოქების სხვა ნიმუშები მრგვალპირიანია. აქვთ სხვადასხვა სიმაღლის ვიწრო ყელი. ერთ მათგანს ყელზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი (ტაბ. XV_{1-2,4-6}). მსგავსი ფორმის დოქები კარგადაა ცნობილი ისტორიული ეგრისის IV-VI სს-ის განათხარი ძეგლებიდან. ისინი აღმოჩენილია: ციხისძირში [ინაიშვილი ნ. 1981: სურ. 6; 1993: ტაბ. XXIV₄], ნოქალაქევში [ლეკვინაძე В., ხვედელიძე Л. 1981: 134; ლომიტაშვილი დ. 2014: 47, ტაბ. XXV, XXVI], ვარდციხეში [ჯაფარიძე ვ. 1989: ტაბ. XIV, XV], წებელდის ციხეზე [Воронов Ю., Бгажба О. 1985: ტაბ. 56₁₋₇].

კერამიკის უმრავლესობა ამფორების ნატეხებია. მათში რამდენიმე ტიპი გამოიყოფა. ვიწროყელიანი ამფორების ყურები შემკულია ასიმეტრიული ქედებით (ტაბ. XVI₁). ანალოგიური ამფორები ციხისძირში ადრეცაა აღმოჩენილი [ინაიშვილი ნ. 1993: 55, ტაბ. XX₁]. გონიო-აფსაროსი-დან მომდინარე ამგვარი ამფორები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ამფორებისათვის შემუშავებული კლასიფიკაციის III ტიპშია გაერთიანებული [ხალვაში მ. 2002: 46]. მსგავსი ამფორები

ცნობილია: ფოთიდან [გამყრელიძე გ. 1987: 111-112, სურ. 11], წებელდის ციხიდან [Воронов Ю., Бражба О. 1985: ტაბ. 27₁₋₁₅], ბიჭვინთიდან [ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ. 1975: 273], ნოქალაქევიდან [ლექვინაძე ა. 1987: 241], ვარდციხიდან [ჯაფარიძე ვ. 1989: 61-62, ტაბ. IX₆₋₇] და სხვ. ამგვარი ამფორები IV ს-ში ჩნდება და არსებობას განაგრძობს VI ს-ის ბოლომდე [ხალვაში მ. 2002: 47].

ამფორების შემდეგი ტიპი წარმოდგენილია მოჩალისფროდ გამომწვარი ნატეხებით, რომლებიც მთლიანად გოფრირებულია (ტაბ. XVIII₁). გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ანალოგიური ამფორები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამფორების კლასიფიკაციაში VI ტიპად გამოიყოფა და ისინი სინოპურ ნაწარმადაა მიჩნეული [ხალვაში მ. 2002: 51, სურ. 43]. ამგვარი ამფორები ცნობილია: ფოთიდან [გამყრელიძე გ. 1987: 111, სურ. 10], ნოქალაქევიდან, ქერსონესიდან, ტანაისიდან და სხვ. [ხალვაში მ. 2002: 52. ლიტ. იხ. იქვე]. ფიქრობენ, რომ ამ ტიპის ამფორები ჩნდება IV ს-ის ბოლოს და VI ს-ის ბოლომდე განაგრძობენ არსებობას [ხალვაში მ. 2002: 52].

ცალკე ტიპად გამოიყოფა წელშეზნექილი ყავისფერკეციანი ამფორები, რომლებიც კერამიკული ტარის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნიმუშებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XVI_{3,5,7,9}, XVII₁₋₈, XVIII₂, XIX_{2,3,8,18}). მათ ნაწილს ეტყობა ძლიერი ცეცხლის კვალი. IV-VI სს-ით დათარიღებული წელშეზნექილი ამფორები ციხისძირში ადრეც არაერთი იყო აღმოჩენილი [ინაიშვილი ნ. 1981: 127; 1993: 54]. მსგავსი ჭურჭელი ფართოდაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის თანადროულ ძეგლებზე და გაცილებით სჭარბობენ კერამიკული ტარის სხვა სახეს. V-VI სს-ს მიაკუთვნებენ გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ამგვარ ამფორებს [ხალვაში მ. 2002: 20-21]. ანალოგიური ამფორები მრავალრიცხოვანია ბიჭვინთის განათხარ კერამიკაში [ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ. 1975: 277]. IV-VI სს-ით თარიღდება მსგავსი ამფორები ვარდციხიდან [ჯაფარიძე ვ. 1989: 56]. წელშეზნექილი ამფორები კარგადაა ცნობილი ნოქალაქევიდანაც [Леквинадзе В., Хведелиძე Л. 1981: 131; ლომიტაშვილი დ. 2014: 38]. ქუთაისში აღმოჩენილი წელშეზნექილი ამფორების მრავალრიცხოვანი ნიმუშები დათარიღებულია V ს-ის ბოლო მეოთხედითა და VII ს-ის დასაწყისით [ლანჩავა ო. 2015: 213]. წელშეზნექილი ამფორები დიდი რაოდენობითაა

մոյզլեպակ օստորությունու ցըրուու հրճուռո-ժասավլետ գյուղուռուածուց: Ենքութիւն վարդու գուրեթիւ ճա ազեաթետու ագրությունու կուա սանութենուեթու սեագաճասեա սամարովանչե Բօրոնու ՅՕ., Եբաջնա Օ. 1985: Գաձ. 29₁₋₂, 30; Ղունա Մ. 1978: 66-67]. սամերետ-ժասավլետ սայարտացուու ամուռուեթու կլասուուկացուու, ամցարու ժայրէպակ ամուռուեթու VII գուաթու շրուուաճաճա ճա մուրուտաճաճ VI Ս-ու տարուճաճաճա [Խալուա՛ն մ. 2002: 20-21, և յու. 34].

Տամայուեթու կերամիկու նօմութեանու ալսանունավու սենորկյուտեա զու-
լու կանուսացու նանածարաւ ուրացմենու, բումելու կամպի շեմտեզեզուտա
մութուցուու ու (Գաձ. XIX₂₅). ամցարու զուլուեթու ցամուունուեթու անանուեթու.
մուսու սամուալուեթու, կագելասա ճա շելուսունուու մուրու օյմենուեթու տարուսու-
յալու արյ ցերելու քայրու մուրուանուու սատզու. անալոցու նուտեթու վունու-
սկու ագրուքա ալմուհենուու լու ինամպու 6. 1993: 49, Գաձ. XV₃]. մեցավու
արգեցայտուեթու կանոնաւուու: ցոնու-աժուսարուու նանակու պամանուամու
2004: 50, և յու. 19; մոնուրամպուու դ., մամուլամպ մ. 2009: 31, Գաձ. XI₄], ծոյ-
չունուու աջուկու գ. 1977: 223-224] ճա սեպ.

Կոմպու ցատերեթուու մութու ինդեթու ծորուու կրամուտու նա-
թութիւ (Գաձ. XIX_{20-24,29,31}). կրամուտու սէյլուուցու նու. սրուաճ արյ շրուո
մատցանո ար շեմուրհենու ար, րաց անելու կարգուայտուեթու նումեթու ճա-
ցենաս. կրամուտու նուուաճ ան մոիսալու ուրուու ցամումնարու. սույնուու,
կոմպու կրամուտու ուրու ճաթու կանուսուու 1962-1965 նութու հագուարու-
թու ցատերեթուու հանս, րոմ ագրությունու կուա սանութենուեթու նացեթուու,
մատ մուրու կոմպու ծորուու կրամուտու պոտուու ցաթու կամանությունու լու ինամ-
պու ա. 1974: 125, 147].

ցանատեա մասալամպ ռամունում ացուրու. ուրու սենորկյուտեա ացուրու
(30x20x6 սմ) ալմուհենու օադակու ֆոնութիւ, կարու ցայրացու. ռամունում անա-
լոցու ացուրու սանութու կերամիկ ուրու հազարանուու (Գաձ. VIII₁). սանութու-
րեթու կոմպու նանցարեցուեթու ալմուհենուու ցատու մութու ացուրու նաթութիւ
(Տակու 8 սմ). ացուրու նութու գյուղու շուրուուրուու ժարութագուացու գյուղու գյուղու-
թու ացուրու սանութու կամպու կամպու (Գաձ. XIX₃₀). ացուրու ցանուու ալմությունու
կուա սանութենուեթու նացեթու գամուունու թագուացու անանուեթու մշենու ժունու-
սաս, թունու կամպու գյուղու պամպու գյուղու գյուղու ու պամպու նանուու
ացուրու ացուրու պամպու գյուղու գյուղու ացուրու գյուղու գյուղու գյուղու
պամպու պամպու պամպու պամպու պամպու պամպու պամպու պամպու պամպու

კოშკი გამოვლინდა თიხის მილის ნატეხებიც. მათი კედლის სისქე 1,6-2 სმ-მდე მერყეობს (ტაბ. XIX₂₆₋₂₈). თიხის მილები ციხისძირში ადრეც იყო აღმოჩენილი — აბანოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე [ინაიშვილი ა. 1974: 142].

კოშკის ნანგრევებში მიკვლეულია ორი საინტერესო არტეფაქტი: ოთხკუთხა მოყვანილობის თიხის გუნდაში (5,5x4,5x6 სმ; 5,5x4,5x5 სმ) ჩას-მულია თითო ბრტყელი სწორკუთხა ქვა — მოზაიკის კენჭი (ტაბ. XIX₁₉). ჩანს, მოზაიკის ეს კენჭები ამკობდა ციხის რომელიდაც ნაგებობის იატაკს. მოზაიკის კენჭები კოშკის ნანგრევებში შემთხვევითაა მოხვედრილი.

* * *

§ 2. ლითონის ნივთები. კოშკის განათხარი მასალიდან დიდ ინტერესს ლითონის მრავალრიცხოვანი არტეფაქტი იწვევს.⁵ მათი უმრავლესობა სა-ბრძოლო იარაღია. თავდაცვითი ხასიათის შეიარაღებიდან აღსანიშნავია კოშკის სამ სხვადასხვა ადგილას დამწვარი და თითქმის წიდად ქცეული მოზრდილი გუნდების სახით აღმოჩენილი ჯაჭვის პერანგები (ტაბ. XXI₁₋₃).

ჯაჭვის პერანგები ჩვენში უკვე ახ. წ. I ს-დან გვხვდება. მხედველობაში გვაქვს დედოფლის გორის სასახლის №7 ოთახის იატაკზე მიკვლეული პერანგის ფრაგმენტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე ცნობილ ამგვარ ნივთებს შორის ჯერჯერობით ყველაზე ადრეულია [გა-გოშიძე ი. 2004: 131]. I-II სს-ის ჯაჭვის პერანგის ნიმუშები აღმოჩენილია თაგილონში [ამირანაშვილი ა. 1935: 37, 41]. კლდეეთში მიკვლეულია ბრინჯაოს რგოლებისაგან დამზადებული პერანგის ნაწილები, რომელიც ასევე I-II სს-ს განეკუთვნება [ლომთათიძე გ. 1957: 13]. ამავე პერიოდის ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი აღმოჩნდა სოფ. ლიას ერთ-ერთ სამარხში [წითლანაძე ლ. 1973: 67].

ციხისძირის ჯაჭვის პერანგების თანადროულ და ყველაზე ახლო პარალელებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ამავე ძეგლზე გასული

5. ციხისძირის რკინის ნივთების გაწმენდა-გამაგრება განახორციელეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტის პირველადი დამუშავების ლაბორატორიის თანამშრომლებმა: თ. ფარჯანაძემ, ნ. თავართქილაძემ, მ. მჭედლიშვილმა.

საუკუნის 60-იან წლებში მიკვლეული ჯაჭვის პერანგის ნაშთები [ინაიშვილი ა. 1974: 145]. ჯაჭვის პერანგის ნაწილები რკინის მუზარადთან ერთად გამოვლენილია ნოქალაქევის გათხრებისას [ზაქარაია პ. 1981: 97-98]. ჯაჭვის პერანგის ნაშთებია აღმოჩენილი ურბნისის ნაქალაქარზე „დამწვარ ნაგებობაში“, რომელიც V ს-ის მიწურულით ან VI ს-ის დასაწყისით არის დათარილებული [ჭილაშვილი ლ. 1964: 94, 97, სურ. 41]. წებელდის ციხეზე მიკვლეულ ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტებს VI ს-ს მიაკუთვნებენ [ვირონის იუ. ბერიძე გ. 1985: 84, ტაბ. 92₃₅, 94₁₆₋₁₉].⁶

ბეგთარის რკინის ფირფიტები აღმოჩნდა კოშკის აღმოსავლეთი კედლის ძირში, ცეცხლში დამწვარი მოზრდილი მასის სახით (ტაბ. XXII₁). ბეგთარის რამდენიმე ფირფიტა კოშკის სხვა ადგილებშიც გამოვლინდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ისინი ერთი ბეგთარის ნაწილებია.

ბეგთარის დამწვარი მასიდან მოხერხდა რამდენიმე შედარებით კარგად შემორჩენილი ფირფიტის გამორჩევა, რომელთაც აქვთ მრგვალი და მოგრძო ნახვრეტები (ტაბ. XXII_{2,4}). გახვრეტილი ნიმუშების გარდა, ბეგთარის დამწვარ მასაში გვხვდება მოგრძო გაუხვრეტავი ფირფიტებიც, რომელთა ერთ ბოლოზე რკინისავე ღეროა შემოკრული (ტაბ. XXII₃). ფირფიტები ერთმანეთთან ტყავის თასმებით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა მათი კვალი აღარაა შემორჩენილი.

ჩვენში სპილენძის ფირფიტებისაგან შედგენილი უძველესი აბჯრის ნაწილები ცნობილია თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის (ძვ. ნ. III ათასწლეულის დასასრული) ყორდანიდან. აბჯრის ამ სახეობამ შემდგომში განვითარების დიდი გზა განვლო [გაგოშიძე ი. 2004: 130-131; ანჩაბაძე ი. 2016: 126-136].

კოშკი მიკვლეული ბეგთარის ფირფიტები ფორმა-მოყვანილობით ყველაზე ახლო დგას წებელდის ციხეზე აღმოჩენილ ბეგთარის ფირფიტებთან, რომლებიც სხვა მასობრივ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, ზოგადად VI-VIII სს-ით თარიღდება [ვირონის იუ., ბერიძე გ. 1985: 84, ტაბ. 92₁₈₋₂₆, 94_{1-15,20-28}, 95₁].

6. ჯაჭვის პერანგი საქართველოში გამოყენებული იყო მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ის აღმოჩენილია ზურტაკეტის ერთ-ერთ სამარხში, რომელიც ბიზანტიური ოქროს მონეტის მიხედვით, თარიღდება XI ს-ით. ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები მიკვლეულია დმანისის ნაქალაქარის XII-XIII სს-ის კულტურულ ფენაში (დმ 2739) [იხ. ჭილაშვილი ლ. 1964: 96]. საქართველოს მთიანეთში ჯაჭვის პერანგს XIX ს-მდე იყენებდნენ [ჩოლოყაშვილი კ. 1956: 281-302].

კოშკში გამოვლინდა სამი ფარი, უფრო სწორედ, ფარების რკინის უმბონები. მათგან ორი სრულადაა შემორჩენილი, ერთი ნაკლულია. ნახევარსფერული მოყვანილობის უმბონს ცენტრში აქვს რკინის ღერაკი. ძირზე შემოუყვება ბრტყელი კიდე, რომელზეც სამანქვლე ნახვრეტებია. ზოგიერთ ნახვრეტში მანქვლების ფრაგმენტებია შემორჩენილი. უმბონების სიმაღლე 7-7,5 სმ-ია, ქვედა ნაწილის დიამეტრი — 16,5-17,5 სმ (ტაბ. XXIII₁₋₃). სამივე უმბონი ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა.

როგორი ფორმა-მოყვანილობის იყო საკუთრივ ფარი — ნრიული, ოვალური, ოთხკუთხა თუ სხვა — ძნელი სათქმელია. მართალია, უმბონები ნრიულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს ფარების ნრიულობასასაც. რაც შეეხება მასალას, ფარები უნდა ყოფილიყო ხის, რომელზეც ტყავი იყო გადაკრული.

ფარის უმბონები ჩვენში აღმოჩენილია ისტორიული ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე — ე. წ. „ნებელდური კულტურის“ ძეგლებზე [ტრაპშ მ. 1971: 153-156, ტაბ. III₄, V₄, VI₂, XI₂, XXI₂, XXX₁₀; გუნბა მ. 1978: ტაბ. XII₃, XXXVII₆]. ყველა ამ უმბონს აქვს ერთი ფორმა — მათი ზედა ნაწილი კონუსურია, წანვეტებული და ამ მხრივ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ციხისძირის ნახევარსფერული უმბონებისაგან. ციხისძირის უმბონები თავისი ფორმით უფრო ადრეულ, ნახევარნრიული მოყვანილობის უმბონებთან (მოდინახე, რგანი, ჟინვალი) ამჟღავნებენ სიახლოვეს [ნადირაძე ჯ. 1975: ტაბ. XX₉; ბრაგვაძე ზ. 2000: 111, სურ. 78; ჩიხლაძე ვ. 2015: 182]. ანალოგიური ფორმის უმბონები ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ეკროპის განათხარ ძეგლებზეც გვხვდება [ბერულავა ნ. 2009: 169].

საინტერესოა რკინის მოგრძო, ბრტყელი ფირფიტა. მისი ფართო, ცენტრალური ნაწილის კიდეები გადმონეულია და პირები ერთმანეთთან ახლოს მიტანილი. ნივთზე შემორჩენილია სამანქვლე ნახვრეტები და ერთი მანქვალი (ტაბ. XXIII₇). არტეფაქტი ძალზე წააგავს შუა საუკუნეებში საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ ფირფიტებს, რომლებიც ფარის უმბონებს ზემოდან ჯვარედინად ეკვროდა. ასეთივე ფირფიტები ფარის ზედა-პირს ნრიულადაც შემოუყვებოდა [შდრ. გორელიკ მ. 2017: 287, სურ. 15₃₋₁₁]. ციხისძირის ანალოგიური ფირფიტაც შეიძლება ფარის ნაწილი იყოს.

რკინის მუზარადი დაზიანებულია. აკლია ზედა ნაწილი და ერთ ადგილას გახსნილია. კიდეზე შემოუყვება ბრინჯაოს სარტყელი, რომელზეც შემორჩენილია კოპები და რგოლები. რგოლებიდან მხოლოდ ერთია მთელი. დანარჩენები მუზარადის კიდეზეა მიჭეჭყილი. რგოლები ზარადის — კისრის დამცავი ჯაჭვის ქსოვილის მისამაგრებელი უნდა ყოფილიყო. მუზარადის დიამეტრი 25 სმ-ია, შემორჩენილი სიმაღლე — 12 სმ (ტაბ. XXIV₁). ნაკლულობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მუზარადი მთლიანჭე-დილია და ამასთან, არა აქეს არც სათვალე ჭრილები და არც საცხვირე.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლითონის ერთი მთლიანი ნაჭრისაგან გაკეთებული მუზარადის ტექნოლოგია რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ახ. წ. 500 წლისთვის დაიკარგა, რამაც შემდგომში განაპირობა სეგმენტური მუზარადების ფართო გავრცელება [წურწუმია მ. 2013: 47. ლიტ. იხ. იქვე]. ციხისძირის მუზარადის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთლიანჭედილი მუზარადების დამზადების ტექნოლოგია VI ს-ის შუა ხანებისთვისაც ჯერ კიდევ არ ჩანს დავიწყებული.

მუზარადზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ, რომ XX ს-ის 60-იან წლებში ციხისძირის აპანოს გათხრებისას, „ყვითელმიწა ნიადაგში გამოვლინდა რკინის ჯაჭვ-მუზარადის ძლიერ დაზიანებული ნაშთი და მის გვერდით რკინისავე მუზარადის ზედა ნაწილი ... ანალოგიური ნივთის ნაშთი ამ უბანზე ამავე ფენაში სხვაც აღმოჩნდა“. ყვითელმიწა ფენის ქვეშ გაიწმინდა დამწვარ-დანახშირებული შრე, რომელიც ხანძრის კვალის შთაბეჭდილებას ტოვებდა [ინაიშვილი ა. 1974: 145]. ეს საყურადღებო ცნობა, №5 კოშკის დამწვარ-დანახშირებულ მასალებთან ერთად, თვალნათლივ მეტყველებს იმ სასტიკ ბრძოლაზე, რომელიც VI ს-ის 50-იან წლებში გამართულა ციხისძირისათვის. ფრაგმენტულობის გამო, რთულია გასულ საუკუნეში აღმოჩენილი მუზარადის ფორმის ნარმოდგენა. თუმცა, ამ შემთხვევაში ისიც მნიშვნელოვანია, რომ ციხისძირში მუზარადი ადრეც იყო მიკვლეული.

საბრძოლო იარაღში რკინის ერთი სატევარი და სამი მახვილია. სატევარი მოკლეა (შემორჩენილი სიგრძე 13,5 სმ), ოვალური პირით და ნაკლებად ნამახვილებული წვერით. იარაღს შუაში არ დაუყვება ქედი ან ლარი (ტაბ. XXVII₈). აკლია ტარი, რომელიც ხის უნდა ყოფილიყო.

Տամո մաեցոլուգան յրտո ցալքորլեսոլու, որո — որքորլեսոլո. ցալքորլեսոլ մաեցոլս դարչի Շերհենոլո այշս մանժվլուս կազալո. դարուգան პորչի ցածասվլա կուտեռանուա. մաեցոլուս Տօգրդյ 80,5 Տմ-ու (դաձ. XXV₁).

Ցալքորլեսոլո մաեցոլուս անալոցցեծո կարցագաա ցնոծուլո հրճո-լո-դասավլետ յըրուսուս — այսանցուտուս Տամարովնեծուգան. մեցուլունութիւն ցայշս ածցուրանայդան մոմդունարյ մաեցոլո, րոմելուց մ. տրագութիւնուս մոյր արա յըցուանցու V Տ-ուտ արուս դատարուլունուլո [Տրապիշ Մ. 1971: 144]. Ցալքոր-լեսոլո մաեցոլո ալմոհենոլուս ացրետու այսանհիաս Տամարովանչի յընա 1978: 77]. մեցացսո յարալո ցավրուլունուլո V-VI ՏՏ-ուս հրճուլուտ կազասու-ուս մեցուլունուլո [Կովալևսկայ Բ. 1981: 178, Տպ. 62₄₄].

Որքորլեսոլո մաեցոլուս (Տօգրդյ 90,5 Տմ) նայլուլ դարչի Շեմորհի-նուլուս մանժվալո. դարուգան პորչի ցածասվլա կուտեռանուա. նուրու նայլու-ծագաա նախութիւնուլո դա ովալուրո մոյզանուլունուսա. մաեցոլուս ենս դարու յոնդա Ֆյոնուդա. յարալու Տանդրուս դրուս մասնու մծույր Տագնուս, Տազարայդուդ մելուս դապեմուս ցամո դեյտորմուրունուլու (դաձ. XXV₂).

Մյորյ մաեցոլուս Շերհենուլո այշս դարուս մցուրյ նանուլո. ուս ուորմուտ տուումուս յմորյ թէմուտ ալնուրուլ յարալս, տոյմբա մասնու րամցենամց մոյլու դա մնունուլունադ դա թուանցունուլո. յարալուս Շեմորհի-նուլու Տօգր-դյ 77 Տմ-ու (դաձ. XXV₃).

Կոենսենուրուս որքորլեսոլո մաեցուլուս մեցացսո, րոցորու րամցե-նամց ագրուլո, ուս տանագրուլո դա մոցուանո նոմունու, արայրուու ցնոծուլո մտելուս ալմուսավլետու. ցանսայուտունուտ դամակասուատունու ուսոնո յուանուս ագրուլո Շոյա Տայունունուս մագրուուրո յուլուրուսատ-ցուս [Գանյու Ա. 2014: 45. լուգ. ու. ոյշու].

Մեցացսո որքորլեսոլո մաեցուլու ցակացու հրճուլո-դասավլետ յըրուսուս դերուգորուանչի: այսանհիանո, ահանգարանո դա տարուլուց մասնու Տրապիշ Մ. 1971: 144-145; յնա 1978: 76. լուգ. ու. ոյշու]. V-VI ՏՏ-ուս որքորլեսոլո մաեցուլու Շեմուեցուտ ալմոհենդա Տակուս կուսուս Տամարովանչի դա Տոյ. անտանու [Վորոնու Յ. և ու. 1990: 28-29]. աեալու Ելուտալրուցուս դա-

საწყისით დათარიღებული რკინის ორპირლესილი მახვილები, რომლებიც დანგრეული სამარხებიდან უნდა მომდინარეობდნენ, ცნობილია ჩხოროწყუდანაც [Хощария Н. 1941: 81, ტაბ. VII₁₋₂]. V ს-ს მიეკუთვნება მსგავსი მახვილი სოფ. ბრუტის (ოსეთი) №2 ყორლანიდან [Габуев А. 2014: 45, სურ. 4].

ზოგადად ორპირლესილი მახვილები ყოველთვის რამდენადმე უფრო გრძელია, ვიდრე ცალპირლესილი ნიმუშები. ასეთივე სურათი გვაქვს კოშკში აღმოჩენილი მახვილების მიხედვითაც. დროთა განმავლობაში ორპირლესილი მახვილებიდან განვითარებული ცალპირლესილი მახვილები ყველგან თანდათან გაპატონებულ მდგომარეობას იკავებენ შეიარაღებაში. ციხისძირის მასალების მიხედვით ისე ჩანს, რომ VI ს-ის შუა ხანებისათვის ორივე ტიპის მახვილები ჯერ კიდევ თანაარსებობენ.

კოშკში სხვადასხვა ტიპის შვიდი შუბისპირი აღმოჩნდა (ტაბ. XXVI₁₋₇). I ტიპში ერთიანდება განივკვეთში ოთხკუთხა პირის მქონე ორი ხიმტისებრი შუბისპირი. ერთი მათგანი სრულადაა შემორჩენილი. აქეს მრგვალგანივკვეთიანი მოგრძო მასრა. შუბისპირის სიგრძე 20 სმ-ია (ტაბ. XXVI₁₋₂). ოთხნახნაგა შუბისპირები აღმოჩენილია აფხაზეთში: აბგიძრახუს, ახიაცარახუს, აუახუმახუს სამაროვნებზე [Трапиш М. 1971: 150, ტაბ. VIII₂, XXXIV₁₀]. ანალოგიური შუბისპირები ცნობილია აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებიდან [Дзаттиаты Р. 2014: ტაბ. 171₅₂; Дзаттиаты и др. 2018: სურ. 141].

II ტიპს მიეკუთვნება დაბალქედიანი, შეზნექილი ფრთების მქონე შუბისპირი, მრგვალგანივკვეთიანი გრძელი და გახსნილი მასრით, რომელსაც ბოლოში აქვს სამანჭვლე ნახვრეტი. შუბისპირის სიგრძე 28 სმ-ია (ტაბ. XXVI₃). მსგავსი ფორმის შუბისპირები ცნობილია აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სამაროვნებიდან: ლარი [Воронов Ю. 1969: 62, ტაბ. XXXVIII₃₈; 1975: სურ. 29₁₁], აბგიძრახუ [Трапиш М. 1971: 150, ტაბ. XXV₈], აფიანჩა [Гунба М. 1978: ტაბ. XVII₃], „აბრამოვის გორა“, „ბერინის გორა“ და სხვ. [Воронов Ю. и др. 1990: 25, სურ. 18₈, 24,]. მსგავსი შუბისპირები აღმოჩენილია ჩრდილოეთ კავკასიის VI ს-ის სამაროვნებზეც [Ковалевская В. 1981: 178, სურ. 62₄₀].

III ტიპის შუბი ხასიათდება მოგრძო, ვიწრო პირითა და შემაღლებული ქედით. გახსნილი მასრის ბოლოში შემორჩენილია მანჭვალი. შუბისპირის სიგრძე 32,5 სმ-ია (ტაბ. XXVI₄). ანალოგიური შუბისპირები ისტორიული ეგრისის ტერიტორიაზე არაერთია ცნობილი. ისინი გვხვდება: ციხისძირის სამაროვანზე [ინაიშვილი ნ. 1993: 83, ტაბ. XXXII₆], ფიჭვნარში [კახიძე ა. და სხვ. 2000: 78], ნოქალაქევში [ლომიტაშვილი დ. 2014: ტაბ. XII₂], ბიჭვინთაში [ლორთქიფანიძე გ. 1991: ტაბ. XIII₁], აგრეთვე შაპკას [Воронов Ю. 1975: სურ. 29₅], ალრახუს, აბგიძრახუს, აფიანჩას [Трапиш М. 1971: 150; Гунба М. 1978: ტაბ. V₅, XII₆, XVII₄, XXV₅, XXVII₃, XXVIII₄, XXXIII₅], „აბრამოვის გორის“ სამაროვნებზე და სხვ. [Воронов Ю. и др. 1990: 25, სურ. 16₁₀].

IV ტიპში ერთიანდება დაბალი ქედის მქონე ორი შუბისპირი, ფრთების ბოლოში მცირე შვერილებით. აქვთ ფართო, ქვემოთ მკვეთრად გაგანიერებული მასრები. ერთ მათგანს მასრის ბოლოს შემოუყვება რგოლი. შუბისპირის სიგრძე 25,5 სმ-ია (ტაბ. XXVI₅). მეორე შუბისპირი ნაკლულია (ტაბ. XXVI₆).

V ტიპს მიეკუთვნება შუბისპირი დაბალი ქედითა და მოკლე ფრთებით. გრძელ ღეროზე შემოუყვება სარტყელი. შუბისპირის სიგრძე 28 სმ-ია (ტაბ. XXVI₇). შუბისპირების რაოდენობის მიხედვით, კოშკის მცველების რაოდენობა შვიდი მებრძოლით შეიძლება განისაზღვროს.

ციხისძირის (პეტრას) გამაგრება ირანელთა მოსალოდნელი თავდასხმებით რომ იყო გამოწვეული, კარგად ჩანს №5 კოშკისა და ზღუდის კედლის გეგმარებით. კოშკი ზღუდის კედელზე გარედან ანუ აღმოსავლეთიდანაა მიღვმული და მას შესასვლელი დასავლეთიდან — ზღვის მხრიდან აქვს (ტაბ. XXX, XXXI). ცხადია, კედელიცა და კოშკიც იმ მიზნით იყო აგებული, რომ წინააღმდეგობა გაენია აღმოსავლეთიდან მომხვდური მტრისთვის. ასეთად კი ბიზანტიელებისათვის იმ პერიოდში ერთადერთ რეალურ ძალად ირანი მოიაზრებოდა [მინდორაშვილი დ. 2020: 215].

პეტრა-ციხისძირის იგივეობის საკითხის განხილვისას უნდა გავიხსენოთ პროკოპი კესარიელის ცნობა, რომლის მიხედვით, 542 წელს,¹⁶ სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ირანელებმა დაიკავეს ზღვისპირა ციხე-ქალაქი პეტრა და იქ ცხრა წელი იყვნენ გამაგრებული [გეორგიკა 1965: 87]. ეს იყო ერთადერთი სიმაგრე ეგრისში, რომელიც ირანელებს დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ დაპყრობილი.¹⁷ ციხისძირის №5 კოშკის გათხრებით ირკვევა, რომ ირანელი მებრძოლები ციხე-ქალაქში ხანგრძლივად მდგარან. ამაზე მეტყველებს კოშკში აღმოჩენილი ისეთი არტეფაქტები, რომლებიც აუცილებელია ერთ ადგილას დიდი ხნით ცხოვრებისათვის. ესენია: ხელწისქვილის ქვები; დიდი რაოდენობის სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი (დერგები, ქოთნები, დოქები); მრავალრიცხოვანი ამფორები; ქვის სტაციონალური ჭურჭელი; მარცვლეულის მარაგი და სხვ. ჩამოთვლილი არტეფაქტები უტყუარი დასტურია იმისა, რომ ირანელები აქ ხანგრძლივად იმყოფებოდნენ. ეგრისის სამეფოს ერთადერთი პუნქტი კი სადაც ირანელები დიდხანს (ცხრა წელი) იდგნენ, იყო პეტრა. ხოლო, კოშკში გამაგრებული მებრძოლები ირანელები რომ იყვნენ და არა ბიზანტიელები ან ლაზები, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეტყველებს ნაგებობაში აღმოჩენილი 98 მონეტა, რომელთაგან უკლებლივ ყველა სასანური ფულია. ამდენად, კოშკის არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვნად ამაგრებს იმ ოეორიას, რომ ციხისძირი პეტრა [მინდორაშვილი დ. 2020: 216].

პროკოპი კესარიელის მიერ აღნერილი 551 წელს პეტრასათვის გამართული ბრძოლის ზოგიერთი ეპიზოდი, თითქმის ზუსტად იმეორებს

16. დ. მუსხელიშვილს აღნიშნული ბრძოლის თარიღად 541 წელი მიაჩნია [მუსხელიშვილი დ. 2003: 278].

17. ირანელები გამაგრებული იყვნენ წებელდის ციხეშიც, მაგრამ მას სულ მცირე ხნით ფლობდნენ [გეორგიკა 1965: 163-164].

ციხისძირის №5 კოშკში გამოვლენილ სიტუაციას. გავიხსენოთ, როგორ გადმოგვცემს ბრძოლის ფინალურ ეტაპს პროკოპი კესარიელი: „რომაელებმა ცეცხლში გაახვიეს აკროპოლისი, ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ გზით მოწინააღმდეგეს აიძულებდნენ მათ დანებებოდნენ. ცეცხლი რომ გაძლიერდა და უბედურება თვალწინ დაინახეს, ბარბაროსები კარგად მიხვდნენ, რომ ისინი სულ მაღე ფერფლად იქცეოდნენ, და დაკარგეს ყოველგვარი იმედი და, რადგან ხსნას არსაიდან ხედავდნენ და არც მტრის ხელში ჩავარდნა სურდათ, ყველანი, აკროპოლისთან ერთად ცეცხლმოდებული, მაშინვე დაიღუპნენ“ [გეორგიკა 1965: 177-178]. ჩანს, იგივე გადაწყვეტილება მიუღიათ კოშკში გამარებულ ირანელებსაც.¹⁸ ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი მებრძოლების დამწვარი ძვლების ფრაგმენტები იმის დასტურია, რომ ისინი მოწინააღმდეგეს არ დანებებიან (ან მოწინააღმდეგეს არ მიუცია მათთვის საშუალება დანებებოდნენ) და აღმოდებულ კოშკში დაღუპულან. წერილობით წყაროში აღნერილი ირანელთა და ბიზანტიელ-ევროსელთა შორის პეტრასათვის ბრძოლის ეპიზოდები ზედმინევნით კარგად აისახა ციხისძირის №5 დამწვარ-დანგრეულ კოშკში, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ ციხისძირი პეტრაა [მინდორაშვილი დ. 2020: 217].

1962-1965 წლების განათხარი მასალების მიხედვით, ციხის სამხრეთი უბანი VI ს-ში განადგურებულა და შემდგომში დიდი ხნის მანძილზე ეს ტე-რიტორია არავის განუახლებია. თავის დროზე, ამის შესახებ ა. ინაიშვილი წერდა: „ჩრდილოეთით და ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც პარალელური კედლების საძირკვლების ყველაზე დაბალი დონეა ... ჩალენილია კოშკის თუ შემაერთებელი კედლების დუღაბით შეკრული უზარმაზარი ფრაგმენტები“ [ინაიშვილი ა. 1974: 126]. აღნიშნულ ფართობზე ძირითადად IV-VI სს-ის არტეფაქტები დაფიქსირდა, რაც ა. ინაიშვილს აფიქრებინებდა, რომ ციხისძირის „სამხრეთ ბორცვზე ... მცირე აკროპოლისმა მოქმედება შენწყვიტა მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა სპარსული გარნიზონი გაანადგურეს და ... პეტრას კედლები და კოშკები შეგნებულად დაანგრიეს“ [ინაიშვილი ა. 1974: 126; შდრ. გეორგიკა 1965: 180].

18. პეტრა-ციხისძირში გამართული სასტიკი ბრძოლის სურათს უნდა ასახავდეს გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული გათხრებისას, აკროპოლისის ზედა ნაწილში გამოვლენილი VI ს-ის დამწვარი ფენები და ამ ფენებში აღმოჩენილი მუზარადისა და ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები [ინაიშვილი ა. 1974: 145].

პირო ზოლში მდებარე ქალაქი კვლავ განაგრძობდა არსებობას. უფრო მეტიც, VI-IX სს-ში პეტრა საეპისკოპოსო (და სავარაუდოდ ადმინისტრაციულ) ცენტრად წარმოგვიდგება [დიასამიძე ბ. 2001: 168, 176; ლომოური 6. 2009: 90]. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა ქალაქის სრული განადგურების შემთხვევაში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „პეტრა მთელი ადრე შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგაც რჩება მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სამხედრო პუნქტად“ [დიასამიძე ბ. 2001: 178]. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ პეტრა-ციხისძირის ისტორიაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან რყევებს და მისი სავაჭრო-ეკონომიკური თუ სამხედრო-სტრატეგიული შესაძლებლობები ყოველთვის აღმავალი ხაზით არ ვითარდებოდა.

გვიანანტიკურ ხანაში და ადრეული შუა საუკუნეების საწყის ეტაპზე პეტრა მართლაც იყო დაწინაურებული სავაჭრო-ეკონომიკური პუნქტი და ამაზე ნათლად მეტყველებს ციხისძირში და მის ახლომახლო მიკვლეული არტეფაქტები - იმპორტული კერამიკა, მინის ნაწარმი, მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალა და სხვ. [ინაიშვილი ნ. 1993: 114]. თუმცა, იმ პერიოდში სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით პეტრა არაფრით გამოირჩეოდა, ვიდრე იუსტინიანემ 532 წლის შემდგომ ხანებში, საგანგებოდ არ გაამაგრა პეტრა და ის არ აქცია ირანელების ნინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ძლიერ ბასტიონად. ამის შესახებ პროკოპი კესარიელი სრულიად გარკვეულად წერდა: პეტრა „უმნიშვნელო იყო ნინათ, ხოლო იუსტინიანე მეფემ გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა“ [გეორგია 1965: 83]. ამიერიდან, პეტრა გვევლინება ერთის მხრივ ძლიერ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად, მეორეს მხრივ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად. გავიხსენოთ, რომ სწორედ პეტრას აკროპოლისში ჰქონდა თავისი რეზიდენცია სტრატეგ იოანე ციბეს, რომელმაც თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია ბიზანტიელებსა და ეგრისელებს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები, რამაც საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია [გეორგია 1965: 74-75].

542-551 წლებში ციხე-ქალაქი ირანელებმა მიიტაცეს და იმ პერიოდში პეტრა-ციხისძირის სავაჭრო-ეკონომიკური აქტიურობა მნიშვნელოვ-

ნად უნდა შესუსტებულიყო. სამხედრო თვალსაზრისით კი სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ბიზანტიიელების მიერ ირანელების წინააღმდეგ დიდი ძალისხმევით შექმნილ სტრატეგიულ სიმაგრეს ირანელები ცხრა წელი ისევ ბიზანტიიელების წინააღმდეგ იყენებდნენ. 551 წელს ციხე-ქალაქი ბიზანტიიელებმა ბრძოლით აიღეს და მისი აკროპოლისი თვითონვე დაანგრიეს. ამის შემდეგ, აკროპოლისმორღვეულმა პეტრამ ბუნებრივია, სამხედრო პუნქტის მნიშვნელობა დაკარგა.

როგორც უკვე აღინიშნა, VI-VII სს-ში პეტრა საეპისკოპოსო ცენტრის სტატუსს ინარჩუნებდა [დიასამიძე ბ. 2001: 168, 176]. სავარაუდოდ, საეპისკოპოსო რეზიდენცია იყო ზღვისპირა ზოლში არსებული ქალაქის ტერიტორიაზე, რომელსაც 551 წლის სასტიკი ბრძოლა ნაკლებად უნდა შეხებოდა. პროკოპი კესარიელის მიხედვითაც ისე ჩანს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობდა არა ქალაქის, არამედ აკროპოლისის ტერიტორიაზე, რომელიც ბიზანტიიელებმა შემდგომ მიწასთან გაასწორეს. X ს-ში იწყება პეტრა-ციხისძირის აკროპოლისის ხელახალი აღორძინება.

* * *

§ 2. პეტრა-ციხისძირის ნავსადგურის საკითხისათვის. პეტრა-ციხისძირის სხვადასხვა პრობლემას შორის საინტერესოა საკითხი ციხე-ქალაქის ნავსადგურის შესახებ. მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ პეტრას, როგორც მნიშვნელოვან ზღვისპირა სტრატეგიულ სიმაგრეს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ნავსადგური. მაგრამ აქ ერთი წინააღმდეგობა იქმნებოდა. ციხისძირის სანაპირო ზოლი ნავსადგურისათვის გამოუსადეგარია და ამ მიდამოებში მისი არსებობა ფაქტობრივად გამორიცხულია. ამიტომ, პეტრა-ციხისძირის იგივეობის მომხრეები ცდილობდნენ ნავსადგური ციხისძირთან სადმე ახლომახლო ეძებნათ და საამისოდ სხვადასხვა ადგილებს ასახელებდნენ. ხოლო მათთვის, ვინც არ იზიარებდა პეტრა-ციხისძირის იგივეობის თეორიას, ციხისძირთან ნავსადგურის არარსებობა ერთ-ერთ არგუმენტად იყო გამოყენებული ამ ორი პუნქტის იდენტურობის უარსაყოფად [ინაიშვილი ნ. 1993: 115]. №5 კოშკის აღმო-

ჩენები ფაქტობრივად აღარ ტოვებს კითხვებს პეტრა-ციხისძირის იგივე-ობის შესახებ, მაგრამ ნავსადგურის პრობლემას ორიოდე სიტყვით მაინც შევეხები.

ს. ყაუხეჩიშვილის მოსაზრებით, პეტრა ისეთ პუნქტშია საძიებელი, რომელიც ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა ვაჭრობისა და სავაჭრო მიმო-სვლისათვის, სამხედრო საქმიანობისათვის და ა. შ. ამისათვის კი აუცი-ლებელი იყო კარგი ნავსადგური, რომლის ძიებამ ის მიიყვანა ბათუმამდე, სადაც ნავსადგურისათვის მართლაც შესაფერისი პირობებია [გეორგიკა 1965: 105]. ეს თეორია მკვლევართა უმრავლესობამ იმთავითვე არ გაი-ზიარა. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, პეტრასთან ნავსადგურის არსებო-ბის აუცილებლობას ისტორიკოსთა ნაწილი უყოყმანოდ აღიარებდა და ნავსადგურის ადგილმდებარეობის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამდა.

6. ლომოურს პეტრას საქალაქო დასახლება და მისი ნავსადგური ჩა-ქვის დაბლობის მიმდებარე ტერიტორიაზე ეგულებოდა [ლომოური 6. 2011: 197].

ი. სიხარულიძის შეხედულებით, ციხე-ქალაქის ნავსადგურისათვის ყველაზე უკეთესი პირობებია მდ. კინტრიშის შესართავთან და შესაბა-მისად, პეტრა-ციხისძირის ნავსადგურიც იქ უნდა ყოფილიყო [სიხარუ-ლიძე ი. 1959: 99-100].

გ. გრიგოლია სხვა მკვლევართა კვალდაკვალ ნავსადგურს პეტრას შემადგენელ ნაწილად განიხილავდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ პეტრა იყო არა ციხისძირი, არამედ ხოფა, რომელსაც აქვს კარგი ნავსადგური [გრი-გოლია გ. 1993: 11-78].

პეტრასთან ნავსადგურის აუცილებელი არსებობის თეზამ არასწო-რი მიმართულებით წარმართა ციხე-ქალაქის ლოკალიზაციის კვლევა და კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა ნავსადგურის ადგილმდებარეობის სა-კითხი.

ჯერ კიდევ 1971 წელს დაიბეჭდა ა. ინაიშვილის სტატია, რომელიც მიეძღვნა პეტრა-ციხისძირის ნავსადგურის პრობლემას. მასში გაანა-ლიზებულია ყველა შეხედულება, სადაც საუბარია ციხე-ქალაქისათვის ნავსადგურის არსებობის აუცილებლობაზე, მის სავარაუდო ადგილმდე-

ծարյոბանց դա սեզ. Տիգաթիա՛մ ազգորմա տացուսո, Տաշմառք Տաղյուժվոլունագ դասածութեծուլո մուսածրեծաց Բամուպյենա [Ինամշվուլո ա. 1971: 74-90].

Ա. Ինամշվուլո Տրուլուագ մարտեծուլագ ալնուննազգա, Ռոմ Ռուլուա մեջելոնծա პէտրաս նացածցուրթե, Ռոգորու Ռեալուրագ արսեծուլ ուայթ-թե, Ռագցան Ծպարուեծու ուս արսագ մուկեցենունա [Ինամշվուլո ա. 1971: 75]. Կուրագցեծա ունցա մոյելու ում ցարյունեծաս, Ռոմ „VI Տաղյունուն ծունդուա-Տպար-Սետու յուրտուերտունամու, լածունամու յուցուանց մենացու Շետակեծու ացցունաս — პէտրամու — արց յուրտել ար հինս ծունդուելու մերու Տամեցրո եռմալ-ցեծու ցամունցենեծա. Ես ածլուերեծու յէշու ումու Շեսաեց, Ռոմ ծունդուելու մուլու եռանամու լածունամու մլույրո Տամեցրո յուլութո կըսազգատ. Տորում, Ծարմուցցենելու մուսո ցամունցենեծունա պէտրաս մրացալց նու ույըրա-ցունցու, ույնցաց Ջարուսա դա մուսաելունա ցազակացունու ույ Տաղյուսատ-Տա-նուցացու ցալմուսանցագ, Ռոգորու Ես գրայելու մացալութիւ դասգուրցեծա“ [Ինամշվուլո ա. 1971: 86].

Պէտրասատցու ցամարտուլ ծրճուլեծու կըրճնեծու մոյեր յուլութու ցա-մունցենեծունա մկանցարո ումու եսնունա, Ռոմ կըրճնեծու ում դրուսատ-ցու ցարուսու Տանապուրո թուլու ար կըսազգատ մլույրո Տամեցրո յուլութո [Ինամշվուլո ա. 1971: 85-86]. Վոյոյերու, կըրճնեծու մոյեր պէտրա-Ցունունու Տանապուրո եռմալցեծու ցամունցենեծունա ումու ույու ցամոնցեցու, Ռոմ եռմալցեծու մումրանու-մանցերունեծա ույ Տանապուրուն (Ցուն-յալայտան) մու-ելունա արց ուսե լրմա նյուլուսա դա նյուլունա ամոնցունու կլցեցեծու ցարյ-մուցամու Տրուլուագ Շեյսլուեծու ույու.

Եցրուսու Տանապուրո թուլու ծունդուելու արասդրու յուշեծնեն Եյ-լունան Տանապուրո եռմալցեծու ցամունցենեծու Շեսամլուեծունա. Տառյա-մու Տանապուրո ամունցու ցամունցենու ացատու Տյուլաստիկունու ցնոնա, Տա-նաց գետալուրագա ալներունու 555 Եյլու ուանուսու Ցուն-յու ցամացրու յուլու ծունդուելու Ռոգոր յմիացենան Տպար-Տելու տացասեմու մուսաց-րու յուլագ. Ռոգոր ցանալացեն ուսոնո ուանուսու Շեսարտացտան ցեմեն, Ռոմլու յունու ույունու մշվունու Տրուլու Ռիյուլու մեծրունու այցելու մանյանցենու Շետարացունու ուանու, Ռոմլու յունու Պատրուլունուն մդոնարու ցասնչուն դա ա. թ. [Գյուրցու 1936: 102-103]. Ամգենագ, ծունդուելու ու

მიერ პეტრა-ციხისძირთან საბრძოლო ხომალდების გამოყენებლობა უფრო ამ მიდამოებში ღრმა წყლისა და ნავსადგურის არარსებობით უნდა აიხსნას, ვიდრე სამხედრო ფლოტის მცირერიცხოვნობით.

სავსებით ვიზიარებ ა. ინაიშვილის მოსაზრებას, რომ პეტრა-ციხისძირს ნავსადგური არ ჰქონდა [ინაიშვილი ა. 1971: 75]. მართლაც, წარმოუდგენელია 551 წელს პეტრასათვის გამართულ სასტიკ ბრძოლაში ბიზანტიელებს, იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში საუკეთესო სამხედრო ფლოტის მფლობელებს, მაქსიმალურად არ გამოყენებინათ საზღვაო შესაძლებლობები, არ განელაგებინათ ციხე-ქალაქის გასწვრივ სამხედრო გემები და პეტრაში გამაგრებული ირანელებისათვის დასავლეთიდანაც არ შეეტიათ. პროკოპი კესარიელი დეტალურად აღწერს უმძიმეს სახმელეთო ბრძოლას პეტრასათვის, მაგრამ გაკვრითაც არ ახსენებს ციხე-ქალაქზე ზღვის მხრიდან განხორციელებულ თავდასხმას.

მართებულია ა. ინაიშვილის დასკვნა, რომ „პეტრაში მისი აყვავების ხანაში ნავსადგური, როგორც ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტი, არ ჩანს. სხვა შემთხვევაში არც პროკოპი კესარიელს და არც მის მომდევნო ავტორებს (აგათია სქოლასტიკოსი) იგი აღუნიშნავი არ დარჩებოდათ“ [ინაიშვილი ა. 1971: 87]. მკვლევარის აზრით, „ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქ პეტრას სავაჭრო და სხვა რიგის ურთიერთობები არ გააჩნდა ზღვით, მაგრამ ამისათვის არ იყო საჭირო და აუცილებელი ბუნებრივად მოხერხებული ყურის, ნავსადგურის არსებობა. ნავების მისადგომად ჩვეულებრივი ზღვის ნაპირი უნდა ყოფილიყო გამოყენებული“ [ინაიშვილი ა. 1971: 87].²⁰

მართლაც, ნავსადგურის არარსებობის პირობებშიც, ციხისძირის სანაპიროს ყოველთვის შეიძლება მოსდგომოდა პატარა ნავები, რომელიც ზღვაში მოშორებით მდგარი გემებიდან ტვირთებს გადმოზიდავდა ან მებრძოლებს გადმოიყვანდა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზღვის სანაპიროზე არსებობის მიუ-

20. მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ პეტრასთან ნავსადგურის არარსებობა ზოგადად არ გამორიცხავს დეხვა-კინტრიშ-აჭყვას შესართავთან ნავმისადგომის არსებობის შესაძლებლობას, სადაც გვიან შუა საუკუნეებში ვახუშტი ბაგრატიონს ეგულებოდა ნავსადგური „ფრიად კეთილი“ [ქართლის ცხოვრება 1973: 792]; ინაიშვილი ა. 1971: 87]. თუმცა, ამ ნავსადგურის ადრეულ შუა საუკუნეებში არსებობის თეორიულად დაშვების შემთხვევაშიც, მას ციხე-ქალაქიდან სიშორის გამო, პეტრასთან კავშირი არ უნდა ჰქონოდა.

Եցազագ, პեტրա და Նինայր და არა როგორც մოხերხեბուլո նավսագցურის մქონე და შესაბამისად აქტიური սაზღვაო კომუნიკაციების განմաხორციელებელი ციხე-სიმაგრე, არამედ, როგორც ირანელების սახմელեთო შეմուტევების აღმკვეთი սამხედრო-სტრატეგიული პუնქტი.

ყველա նიშնում მიხედვით ჩანს, რომ პეტრა-ციხისძირს ნავսაգցური არ ჰქონია. მისი სანაპირო ზოლი გამოუსადეგარია ნავսაգցურისათვის, რადგან აქ წყალი ღრმა არაა და თანაც წყლიდან არაერთი კლდეა ამოზიდული, რომლებიც ფაქტობრივად გამორიცხავს ამ ადგილებში გემების ნაპირთან მიახლოებას. სავარაუდოდ, ბიზანტიელთა გემები ნაპირიდან მოშორებით უშვებდნენ ღუზას და მათ მიერ მოტანილ სუրსათ-სანოვაგის თუ იარაღის მიწოდება პეტრა-ციხისძირისათვის ნავების მეშვეობით ხორციელდებოდა.

* * *

§ 3. ორმაგი კედლების საკითხისათვის. ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ ციხისძირის ციტადელის ჩრდილოეთ და სამხრეთ კლდეებს ზღუდის ორმაგი კედლები აკავშირებს (ტაბ. II₁, XXX). ყველა მკვლევარი, ვინც ამ კედლების შესახებ მსჯელობდა, მათ შორის თითქოს დიდ ქრონოლოგიურ სხვაობას ვერ ხედავდა. მხოლოდ იმ მომენტს ეს მებოდა ხაზი, რომ ზღუდის ორმაგი კედლიდან, დასავლეთის დიდი კედელი იყო „ძირითადი კედელი“ და მას სრულიად სამართლიანად, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს მიერ ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე თავდაცვითი ნაგებობების აქტიურ მშენებლობას უკავშირებდნენ (ტაბ. II₁, IV_{1,2}, XXX) [Мелитаври К. 1971: 18; ლეკვინაძე В. 1973: 174; ინაიშვილი ა. 1974: 127-128; ინაიშვილი გ. 1993: 9-10].

ნაკლები ყურადღება ექცეოდა ზღუდის აღმოსავლეთი კედლის აგების კონკრეტული თარიღის განსაზღვრას. მშენებლობის ტექნიკით, წყობის ხასიათითა და კამაროვან-თახჩებიანი მინაშენებით, ზღუდის აღმოსავლეთი კედელი სრულიად განსხვავდება დასავლეთი კედლისაგან, რაც პირველ რიგში მათ შორის არსებული ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას (ტაბ. III, XXXII₄).

Ցղյուգուն դասավլետ կեցելու մոშենցեծուլու №5 շրմքու տուայիմու մոծյենուլու ալմոսավլետ կամարուան-տաեհեծուան կեցելու դա մատ թորու մեռլու զօնիցուոնուրեծու Շեմտեզեզամու, Շեյսլուեծու 551 նուլս ծուծանցույլու սասցույած ցագաենցատ դա ցաենցրուատ №5 շրմքու, եռլու մուսցան 2,20 մ-ու դամորուեծու մցցար կամարուան-տաեհեծուան կեցելու ծրմուլու կազան ար Շեմորհենուլուպու. յս մամոն, րուպա շրմքու դա „մորուագ կեցելու“ Շեցուա և նորյա կամարուան-տաեհեծուանու կեցլու մերուդան անյ ալմոսավլետուդան եռուույլուցուած.

Ցղյուգուն որուա կեցլու տանագրույլուն սայէքուա օմու ցամու, րոմ տու VI ս-ու „մորուագ կեցելու“ №4 դա №5 շրմքու թորու գոյսուրուցու պուե-սոմացրեմու Շեսասվլելու կարո, „մորուագ կեցլու“ Վարալույլու կամարուան-տաեհեծուան կեցելու Շեսասվլելու ար հանս - կեցելու շնչուցու գունիցուոնուրեծու Շեմտեզեզամու, րոցուր Շեյսլուեծու պուեմու մուսցեցրա, տու մասմու Շեսասվլելու երտագերտու կարու նոն, ալմոսավլետու մերուդան, երտուանու շնչուցու կեցելու ույու ալմարույլո? ամցարու զուարեպա մեռլու օմուտ անեսնեծա, րոմ VI ս-ու „մորուագ կեցլու“ գունիցուոնուրեծուսաս կամարուան-տաեհեծուանու կեցելու ար արսցեծունդա. Ցղյուգուն յս որո, երտմանետու Վարալույլու կեցելու սեզադասեզա դրուսա ացցեծուլու. շոյրո աֆրեյլու դասավլետու յ. ն. „մորուագ կեցելու“, րոմելուց №5 շրմքու ույու մոշենցեծուլու (գու. II₁₋₂, IV₁₋₂, XXX, XXXII₃). „մորուագ կեցլու“ մշենցեծուլուն, րոցուր ուույա, ուսցունուանու սամշենցեծու մուլցանցուն սկազմուրուն ամ

Ցղյուգուն սկազ ալունուն, րոմ սասումացրու կեցլու մշենցեծուլուսաս տա- վուանց պոտուլա ցանսաթլուրու կոմքու մշենցեծուլուն. „մորուագ կեցլու“ ացցեծու Ցղյուգուն տարու 61 ս-ու 40-ունու նուլեծու. շոյրո ցանս, ծուծանցույլու գունիցուոնուրեծու ամցարո, մարտլաւ մոնումենցուրու կեցլու աշենցա. կե- ցլու ացցեծու Ցղյուգուն տարու 542 նուլու սկազ ցանսաթլուրու, րացցան ամ

21. կամարուան-տաեհեծուանու կեցելու ամյամած երտ ացցուլաս ցանսունու դա ամ լուսակա ցանսունու ացարաց հասասվլելու ցնա (գու. XXX). տումբա, կեցելու ամ ցասասվլելու Շեյմնա տանամեցրու մուլցանա.

წელს პეტრა ირანელებმა დაიკავეს და ბიზანტიელები აქ აღმშენებლობით საქმიანობას ვეღარ გააგრძელებდნენ.²² 551 წელს კი კედელიცა და მასზე მიშენებული კოშკებიც ბიზანტიელ-ეგრისელებსა და ირანელებს შორის გამართულ სასტიკ ბრძოლას შეეწირა.

VI ს-ის პირველი ნახევრის ზღუდის კედელს („ძირითად კედელს“) ცალკეულ ადგილებში ეტყობა ძალადობის კვალი – კოშკის მიდამოებში მისი ნაწილი დანგრეულია ან გვერდზე გადაწოლილი. კამაროვან-თახჩებიან კედელზე კი ძალადობრივი ნგრევის კვალი არ ჩანს. იგი უფრო უამთა მსვლელობითაა შელახული, ვიდრე საომარი მოქმედებებით (ტაბ. III, XXXII₄). ორივე კედლის ერთდროულად არსებობის პირობებში, 551 წელს პეტრაზე შეტევის განმახორციელებელ ბიზანტიელებს ციხის „ძირითადი კედლისა“ და მასზე მიშენებული კოშკის აღებამდე ჯერ მის აღმოსავლეთით, პარალელურად მდგარი კამაროვან-თახჩებიანი კედლის წინააღმდეგობა უნდა დაეძლიათ, რადგან უეჭველია პეტრაზე შეტევა სწორედ ამ მხრიდან განხორციელდა.²³ ძალადობრივი ქმედებების კვალი კი კამაროვან-თახჩებიან კედელზე, როგორც უკვე აღინიშნა, არ შეიმჩნევა. ამრიგად, კამაროვან-თახჩებიანი კედელი გვიანაა აგებული, კერძოდ მაშინ, როცა დასავლეთის „ძირითადი კედელი“ და მასზე მიშენებული №5 კოშკი აღარ ფუნქციონირებდა. უფრო კონკრეტულად, კამაროვან-თახჩებიანი კედელი პეტრა-ციხისძირის აღმშენებლობის მეორე ეტაპზე, X ს-ში უნდა აეგოთ.

ჩანს, ციხე-ქალაქის აღორძინების მეორე ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები ძირითადად წარიმართა ციტადელის ზედა ნაწილზე (ტაბ. I₁₋₂). ციტადელის ქვედა, სამხრეთ უბანზე კი „ძირითადი კედლის“ და კოშკების ნანგრევები თითქმის ხელუხლებლად დატოვეს. ნანგრევები საიმედოდ ვერ დაიცავდა ციხის ამ ნაწილს. ამიტომ მწყობრიდან გამოსული „ძირითადი კედლის“ პარალელურად აგებულ იქნა ზღუდის კამაროვან-თახჩებიანი

22. შესაბამისად, 527-542 წლებით უნდა განისაზღვროს პეტრა-ციხისძირის სამნავიანი ბაზილიკის მშენებლობის თარიღიც.

23. 551 წელს პეტრას აკროპოლისზე დასავლეთიდან ანუ ზღვიდან საომარ ოპერაციებს ადგილი არ ჰქონია. რთული რელიეფის გამო, პეტრაზე იერიში ნაკლებ სავარაუდოა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ამდენად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა აკროპოლისზე შეტევა ძირითადად აღმოსავლეთიდან უნდა განხორციელებულიყო.

უწყვეტი, ყრუ კედელი (ტაბ. II, XXXII₄). „ძირითადი კედლის“ ნანგრევებში მოყოლილი პროკოპი კესარიელის მიერ ნახსენები პეტრას ძველი კარი აღარ განუახლებიათ და ციხეში შესასვლელი გაუკეთებიათ ციტადელის ზედა ნაწილში, აღმოსავლეთ მხარეს იქ, სადაც კედლის წყობაში კრამიტებით შედგენილი ჯვარია შემორჩენილი (ტაბ. I₃₋₄).

* * *

2016-2017 წლებში ციხისძირის №5 კოშკში გამოვლენილმა არტეფაქტებმა საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა საკუთრივ პეტრა-ციხისძირისა და ზოგადად ეგრისის სამეფოს ადრეული შუა საუკუნეების სხვადასხვა პრობლემის შესახებ. ახალი არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყარო VI ს-ის შუა ხანების ბიზანტიელ-ეგრისელებისა თუ ირანელების სამხედრო საქმისა და შეიარაღების შესწავლისათვის. კოშკში გამოვლენილი სიტუაციის, აგრეთვე წერილობითი წყაროების მიხედვით, შესაძლოა თვალი გავადევნოთ ბრძოლის იმ ხერხებსა და მეთოდებს, რასაც ბიზანტიელები და ეგრისელები იყენებდნენ 551 წელს პეტრაზე შეტევის დროს.

თუ დღემდე პეტრა-ციხისძირის იდენტურობის მტკიცება ძირითადად მაინც თეორიულ მსჯელობას ემყარებოდა და მეტ-ნაკლებად ტოვებდა ადგილს სანინაალმდეგო მოსაზრებისათვის, ამიერიდან მკვლევართა განკარგულებაშია კოშკში გამოვლენილი არტეფაქტები (განსაკუთრებით იარაღ-საჭურველი და მონეტები), რომლებიც უტყუარად ადასტურებენ პეტრა-ციხისძირის იგივეობას.

პროკოპი კესარიელის ცნობით, 551 წლის სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ბიზანტიელებსა და ეგრისელებს პეტრას (ციხისძირის) აკროპოლისი დაუნგრევიათ, რათა ირანელებს შემდგომში იქ გამაგრების სურვილი აღარ გასჩენოდათ. როგორც გასული საუკუნის 60-იანი წლების, ისე №5 კოშკის განათხარი მასალა სრულ თანხვედრაშია წერილობითი წყაროების მონაცემებთან. გათხრებმა გვიჩვენა, რომ ბრძოლის შემდეგ, ბიზანტიელებს მართლაც დაუნგრევიათ და მიუტოვებიათ აკროპოლისი. პე-

ტრა-ციხისძირის აკროპოლისის ხელახალი აღმშენებლობა მოგვიანებით, მხოლოდ X ს-ში იწყება, თუმცა მისი ერთი ნაწილი კვლავ ნანგრევებად დარჩენილა.

X ს-ში აკროპოლისის განახლებისას ააგეს ზღუდის კამაროვან-თახებიანი ერთიანი, უწყვეტი კედელი, რომელიც ფუნქციურად ჩაენაცვლა 551 წელს დანგრეულ და მწყობრიდან გამოსულ ე. წ. „ძირითად კედელს“. ციხის ახალი შესასვლელი გაკეთდა აკროპოლისის ზედა ნაწილში, იქ სადაც კრამიტებით შედგენილი ჯვარია შემორჩენილი.

კოშკის არქეოლოგიური მასალა — საბრძოლო აღჭურვილობა, მონეტები, კერამიკა, ქვის ნივთები და სხვ. სამომავლოდ უცილობლად მოითხოვს ფართო, მრავალმხრივ და სიღრმისეულ შესწავლას, რათა კვლევის შედეგებმა პასუხი გასცეს ეგრისის სამეფოს „დიდი ომიანობის“ პერიოდის ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ არაერთ საკითხს.

გამოყენებული ლიტერატურა

ანჩაბაძე ი. (2016), შეიარაღება ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების იბერია-კოლხეთში (ძვ. წ. VII - ახ. წ. VII სს), თბილისი.

აფაქიძე გ. (1977), ბიჭვინთის სამშენებლო კერამიკა, დიდი პიტიუნტი II, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, თბილისი, გვ. 223-249.

აფაქიძე ა., ყიფიანი გ., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი გ., ნიკოლაი-შვილი ვ., სიხარულიძე ა. (2001), არქეოლოგიური გათხრები სამთავროზე 2000 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია მიძღვნილი 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, გვ. 24-39.

აფხაზავა ნ. (1979), ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი.

აფხაზავა ნ. (1988), ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბილისი.

აფხაზავა ნ. (2010), გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია, წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი.

ბერულავა ნ. (2009), დასავლეთ ევროპის ქვეყნების შეიარაღებული ძალები და სამხედრო საქმე ადრე შუასაუკუნეებში (V-XI სს.), თბილისი.

ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ. (1975), ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები, დიდი პიტიუნტი I, თბილისი, გვ. 252-279.

ბოგვერაძე ა. (1973), ბრძოლა ირანელი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ეგრისში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი, გვ. 249-268.

ბრაგვაძე ზ. (2000), რგანის სამაროვანი, არქეოლოგიური უურნალი I, გვ. 107-151.

გაგოშიძე ո. (2004), პირველი სաუკუնიս օճյուղու մხედარո, ժողովն, №13-14, გვ. 118-142.

გამყრელიძე გ. (1987), წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციուս კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში, მაცნე, ისტორიის ... სერია, 1, გვ. 97-119.

გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ. (2013), ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, გვ. 588-592.

გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. (2005), ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბილისი.

გამყრელიძე გ., შატბერაშვილი ვ., ფირცხალავა მ., ჩარკვიანი მ. (2018), იარაღ-საჭურველი ძვ. ნ. V – ახ. ნ. IV საუკუნეების საქართველოში, თბილისი.

გეორგიკა (1936), ბიზანტიუր მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

გეორგიკა (1961), ბიზანტიუր მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

გეორგიკა (1965), ბიზანტიუր მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

გრიგოლია გ. (1994), ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბილისი.

დიასამიძე პ. (2001), ქრისტიანობა და სავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები), ბათუმი.

ვარშალომიძე ո. (2016), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური საგანძურო, ბათუმი.

ზაქარაია პ. (1981), ნოქალაქევში 1973-1977 წლებში ჩატარებული სა-მუშაოების საერთო ანგარიში, ნოქალაქევი-არქეოპოლისი I, არქეოლო-გიური გათხრები 1973-1977, თბილისი, გვ. 77-119.

ინაიშვილი ა. (1971), ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხი-სათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. II, თბილისი, გვ. 74-90.

ინაიშვილი ა. (1971ა), პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისა-თვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. II, თბილისი, გვ. 90-109.

ინაიშვილი ა. (1973), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები (1959-1971), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძე-გლები, ტ. III, თბილისი, გვ. 3-37.

ინაიშვილი ა. (1973ა), მასალები ციხისძირის გორა-ნამოსახლარიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეთორმეტე სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი.

ინაიშვილი ა. (1974), პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. IV, თბილისი, გვ. 102-153.

ინაიშვილი ნ. (1981), ადრე შუასაუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხის-ძირიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. X, თბილისი, გვ. 122-136.

ინაიშვილი ნ. (1993), ციხისძირის ახ. ნ. I-VI სს. არქეოლოგიური ძე-გლები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XXI, თბილისი.

კახიძე ა., ვიკერსი მ., მამულაძე შ. (2000), ადრე შუა საუკუნეების სა-მარხები ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ტ. I, ბათუმი, გვ. 70-82.

კახიძე ა., მამულაძე შ. (2004), სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრე-სი შედეგები, გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი, გვ. 4-107.

კახიძე ნ. (2010), სახელოსნო იარაღ-ხელსაწყოები და მათი კლასი-ფიკაცია (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგის პრობლემები, ტ. III, ბათუმი, გვ. 5-41.

ლანჩავა ო. (2015), ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი.

ლექვინაძე ა. (1987), ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV-XI სს მასობრივი არქეოლოგიური მასალა, ნოქალაქევი-არქეოპოლისი II, თბილისი, გვ. 237-248.

ლომთათიძე გ. (1957), კლდეეთის სამაროვანი, თბილისი.

ლომიტაშვილი დ. (2014), ნოქალაქევის ნაქალაქარი, თბილისი.

ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ. (1993), ნოქალაქევში გამოვლენილი ე. წ. „წებელდური“ ცულებისა და დოქების რაობისათვის, ძეგლის მეგობარი, №2, გვ. 31-32.

ლომოური ნ. (2009), ბიზანტია-ირანის ომების ეპიზოდები აჭარის ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. II, ბათუმი, 2009.

ლომოური ნ. (2011), საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა, ნაწილი I (IV-IX სს.), თბილისი.

ლორთქიფანიძე გ. (1991), ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი.

მამულაძე შ., ქამადაძე კ. (2017), 2014 წელს სოფ. სიმონეთში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, კრ. აჭარა, წარსული და თანამედროვეობა, ტ. III, ბათუმი, გვ. 302-322.

მინდორაშვილი დ. (2020), არქეოლოგიური გათხრები ციხისძირში და პეტრა-ციხისძირის იგივეობის საკითხი, ჟურ. ქრონისი №1, გვ. 204-234.

მინდორაშვილი დ., მამულაძე შ. (2009), გონიო-აფსაროსის №10 კოშკში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი, გვ. 25-58.

მუსხელიშვილი დ. (2003), საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი.

ნადირაძე ჭ. (1975), ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ. (1978), ტუიაქოჩორას სამაროვანი, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბილისი, გვ. 157-169.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა (2009), ტ. II, ბათუმი.

სიხარულიძე ი. (1959), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი.

სიხარულიძე ი. (1962), აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი.

სონღულაშვილი ხ. (2006), ჯიეთის სამაროვანი, არქეოლოგიური უურნალი VI, გვ. 74-84.

ქართლის ცხოვრება. (1973), ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი.

ჩართოლანი შ., ცინდელიანი მ. (2010), კოდორის ხეობის „დალ“-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ჩიხლაძე ვ. (2015), უინვალის სამაროვანი, თბილისი.

ჩოლოყაშვილი კ. (1956), ქართული საჭურველი. ჯაჭვი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, გვ. 281-302.

ჩხაიძე ლ. (1978), მინის ნაწარმი ციხისძირიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. VII, თბილისი, გვ. 59-66.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი. (2012), (ალბომი), თბილისი.

წითლანაძე ლ. (1973), არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ლიაში, ძეგლის მეგობარი, №33, გვ. 66-72.

ნურნუმია მ. (2013), მუზარადი ვაველის მუზეუმიდან და მისი ადგილი აღმოსავლური ზურების ევოლუციის პროცესში, საქართველს სამხედრო ისტორიის საკითხები, ტ. I, თბილისი, გვ. 47-80.

ჭილაშვილი ლ. (1964), ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი.

ხალვაში მ. (2002), კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, გო-
ნიო-აფსაროსი II, ბათუმი.

ხოშტარია ნ. (1953), ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური
მასალების მიხედვით, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მე-
ოთხე სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

ხოშტარია ნ. (1962), ციხისძირი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუ-
კუნეებში, თბილისი.

ჯანაშია ს. (1949), ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომე-
ბი, ტ. I, თბილისი, გვ. 1-127.

ჯაფარიძე ვ. (1989), ვარდციხის ნაქალაქარი, თბილისი.

ჯაფარიძე ვ. (1979), წებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი
საკითხისათვის, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, ტ. II, თბილისი,
გვ. 78-89.

ჯაფარიძე ვ. (2006), ეგრისის ახ. ნ. I-VII სს. მატერიალური კულტურის
ძეგლები, თბილისი.

ჯორბენაძე ბ. (1982), ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, ივრის ხეობის
არქეოლოგიური ძეგლები, ტ. IV, თბილისი.

ჯორბენაძე ბ. (1998), არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქარ-
თველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნებიდან, ფეოდალური სა-
ქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. VI, თბილისი, გვ. 40-48.

Амиранашвили А. И. (Болтунова А. И.) (1935), Новая находка в низовьях
р. Ингуре, Материалы по археологии Грузии, Тифлис.

Артилаква В. Е. (1976), Железообрабатывающее ремесло древней Грузии,
Тбилиси.

Асланов Г. М. (1955), К изучению раннесредневековых памятников
Мингечаура, Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях
института истории и материальной культуры АН СССР, т. 60.

- Воронов Ю. Н.** (1969), Археологическая карта Абхазии, Сухуми.
- Воронов Ю. Н.** (1975), Тайна Цебельдинской долины, Москва.
- Воронов Ю. Н.** (1979), Древности Сочи и его окрестностей, Краснодар.
- Воронов Ю. Н., Бгажба О. Х.** (1985), Материалы по археологии Цебельды, Тбилиси.
- Воронов Ю. Н., Бгажба О. Х., Шенкао Н. К., Логинов В. А.** (1990), Новые погребения Апсилов из окрестностей Цебельды, Археологические открытия в Абхазии, 1985 г., Тбилиси, с. 24-29.
- Габуев Т. А.** (2014), Аланские княжеские курганы V в. н. э. у села Брут в Северной Осетии, Владикавказ.
- Горелик М. В.** (2017), Черкесские воины Золотой Орды (по археологическим данным), Археология Евразийских степей, №5, с. 280-302.
- Гунба М. М.** (1978), Новые памятники Цебельдинской культуры, Тбилиси.
- Дзаттиаты Р.** (2014), Аланские древности Даргавса, Владикавказ.
- Дзаттиаты Р. Г., Успенский П. С., Царикаева З. Х.-М.** (Албегова) (2018), Оружие населения Центрального Кавказа VII-X вв. по материалам Даргавского могильника, XXX Крупновские чтения, Карачаевск, с. 326-330.
- Казанский М.** (2015), Германские элементы в материальной культуре Абхазии в позднеримское время и в эпоху переселения народов, Альманах Scripta antiqua, Вопросы древней истории, филологии, искусства и материальной культуры, т. IV, с. 34-62.
- Кафадарян К. Г.** (1952), Город Двин и его раскопки, т. I, Ереван.
- Ковалевская В. Б.** (1981), Северокавказские древности. Степи Евразии в эпоху средневековья, Археология СССР, Москва, с. 83-97.
- Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья.** (2003), IV-XIII века, Москва.
- Куфтин Б. Н.** (1949), Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси.

Леквинадзе В. А. (1973), О постройках Юстиниана в Западной Грузии, Византийский Временник, №34, с. 169-186.

Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. И. (1981), Массовые археологические находки из раскопок Археополиса, ნოქალაქევი-არქეოპლისი I, თბილისი, გვ. 120-148.

Мелитаури К. Н. (1971), Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. II, Тбилиси.

Трапиш М. М. (1971), Культура Цебельдинских некрополей, труды, т. 3, Тбилиси.

Хоштария Н. В. (1941), Чхороцку, могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселений, Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. 2, Тбилиси, с. 67-92.

Хоштария Н. В. (1955), Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, გვ. 25-78.

Winter F. (1971), Greek Fortifications, Routledge and Kegan Paul, London, Toronto.

იღუსატრაციების აღნერა

ტაბ. I. 1. ციხისძირის ციტადელი და ეკლესიების ნანგრევები. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 2. ციტადელის ტერიტორია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან; 3. ციტადელის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული X ს-ის კარი; 4. კართან შემორჩენილი ჯვარი.

ტაბ. II. 1. ციხის სამხრეთი უბანი. ორმაგი ზღუდის კედლებით შექმნილი დერეფანი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 2. იგივე. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

ტაბ. III. 1. ორმაგი ზღუდის აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილი. განმენდილი კამაროვანი თახჩები. ხედი დასავლეთიდან; 2. იგივე კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. ხედი სამხრეთიდან; 3. იგივე კედელი. ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. IV. 1. ორმაგი ზღუდის დასავლეთი კედელი და მის წინ არსებული გასათხრელი ნანგრევები; 2. ორმაგი ზღუდის დერეფანი. გათხრების დასაწყისი.

ტაბ. V. 1. ორმაგი ზღუდის დასავლეთ კედელთან მიკვლეული №5 კოშკი გათხრებამდე (2016 წ.); 2. იგივე. კოშკის სამხრეთი კედელი (2016 წ.).

ტაბ. VI. 1. №5 კოშკი. გათხრების პროცესი. ხედი სამხრეთიდან (2017 წ.); 2. კოშკსა და ზღუდის კედელს შორის გაჩენილი სივრცე.

ტაბ. VII. 1. №5 კოშკი გათხრების შემდეგ. ხედი სამხრეთიდან; 2. იგივე. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. VIII. 1. კოშკი აღმოჩენილი კერა (პირქვე ჩადგმული ჭურჭელი) და აგურფენილის ფრაგმენტი; 2. კერა განმენდის შემდეგ.

ტაბ. IX. 1-2. კოშკი გათხრების შემდეგ. ხედი აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. X. 1. კოშკის ჩრდილოეთი კედელი და კერა; 2. კოშკის ჩრდილოეთი კედელი. ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. XI. 1. კოშკის აღმოსავლეთი კედელი. კედლის ძირში მოჩანს დამწვარი ფენები; 2. ზღუდის დასავლეთ კედელში არსებული აგურით ამოყვანილი კარი.

ტაბ. XII. 1-2. ზღუდის დასავლეთ კედელზე შემორჩენილი კოშკის სამხრეთი კედლის ნაშთი; 3. ზღუდის კედელსა და კოშკის ჩრდილოეთ კედელს შორის გაჩენილი სივრცე.

ტაბ. XIII. 1. ორმაგი ზღუდის კედლებით შექმნილი დერეფანი გათხრების შემდეგ; 2. კოშკი გათხრების შემდეგ. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XIV-XV. კოშკში აღმოჩენილი კერამიკული მასალა.

ტაბ. XVI-XVIII. კოშკში აღმოჩენილი ამფორები.

ტაბ. XIX. 1. კოშკში აღმოჩენილი მინის ნივთი; 19. მოზაიკის ნიმუშები; დანარჩენი — კერამიკული ნაწარმი: ამფორები, კრამიტისა და აგურის ფრაგმენტები.

ტაბ. XX. ქვის ნივთები.

ტაბ. XXI. ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები.

ტაბ. XXII. ბეგთარის ფირფიტები.

ტაბ. XXIII. 1-3. ფარის უმბონები; 4-6. ბრინჯაოს კოვზები; 7. ფარის დეტალი.

ტაბ. XXIV. 1. მუზარადი; 2-7. ცულები.

ტაბ. XXV. მახვილები.

ტაბ. XXVI. 1-7. შუბისპირები; 8-20. ისრისპირები.

ტაბ. XXVII. 1. რკინის ლაგამი; 2,3,5. ქამარ-თასმებთან დაკავშირებული აბზინდა-ბალთები; 4. კაპარჭის ბრინჯაოს დეტალი; 6-7. დანები; 8. სატევარი; 9. სამკლაური თუ საწვივე; 10-11. გაურკვეველი დანიშნულების ნივთების დეტალები; 12. ლურსმნები.

ტაბ. XXVIII. ნამგლები.

ტაბ. XXIX. 1-98. ვერცხლის სასანური მონეტები; 99. ვერცხლის გულსაკი-დი.

ტაბ. XXX. ციხისძირის ციხე. გენგეგმა.

ტაბ. XXXI. 1. №5 კოშკის გეგმა; 2. №5 კოშკის ჭრილი.

ტაბ. XXXII. 1-2. №5 კოშკის ჭრილები; 3. ორმაგი ზღუდის დასავლეთი კედლის პროფილი; 4. ორმაგი ზღუდის აღმოსავლეთი კედელი კამაროვანი თახჩებით. პროფილი.

DAVID MINDORASHVILI

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS IN PETRA-TSIKHISDZIRI

Summary

The fortress of Tsikhisdziri is set on a high seashore rock seven kilometers south of Kobuleti (pl. I, II, XXX). Tsikhisdziri drew attention of researchers as early as in the 19th century and the interest still has not alleviated. According to most scholars, Tsikhisdziri is referred to as Petra, repeatedly cited in Byzantine sources (Procopius of Caesarea). However, there exists a different opinion as well.

In 2016-17, archaeological excavations conducted in the southern section of the fortress revealed tower no.5 (4,10 x 3.80 m), which had been annexed to the west wall of the double fence on the east (pl. V, XXX, XXXI). The tower used to be covered with flat tiles, which is evidenced by numerous specimens of flat tiles discovered during the excavations of the structure (pl. XIX_{20-24, 26-29, 31}).

South and east walls of the tower have been repositioned from their original location. Especially damaged is the east wall (pl. VI, VII, IX, XI₁, XXXI₁). The north wall is relatively well preserved (pl. X₁₋₂, XXXI₁). The tower had a doorway built of brick in the wall of the fence (pl. XI₂, XXXI₂). The tower and the west wall of the fence had been built simultaneously. It is demonstrated by the fact that the doorway of the tower had been intended to be arranged in the wall of the fence at the very beginning of construction. There is no connection between the defensive wall and the walls of the tower. The latter are simply leaned to the defensive wall.

Excavations of the tower revealed traces of extensive destruction brought about by hostilities (pl. XI₁). It was made clear that not only did the guards fail to rescue objects from the structure, but they failed to escape and were entrapped in the fire and the ruins as well. It is evidenced by the fragments of burnt and charred human bones excavated in different places of the structure.

The tower yielded numerous and diverse artifacts – ceramic ware, stone querns, plenty of iron weapons, coins, etc.

The artifacts discovered in the tower contain information that is interesting and important for the early medieval history of Tsikhisdziri, as well as for the extremely complicated period of the kingdom of Egrisi known in scholarly literature as the times of ‘great hostilities’ in Egrisi.

Pottery. The excavated material contains a lot of ceramic ware. Among them are a large vessel with a massive mouth (pl. XIV₂), numerous pots and jugs (pl. XIV₄₋₅, XV₁₋₁₇).

Most of the pottery are amphorae. There are several types of amphorae: especially diverse are those with concave sides and brown fabric (pl. XVI_{3,7,9}, XVII₁₋₈, XVIII₂, XIX_{2,3,8,18}).

Among the samples of construction ceramics rather remarkable is a conical part of a rectangular tile which had ended up in the tower accidentally (pl. XIX₂₅). Such tiles were used in bathhouses. By means of such tiles free area was created between the wall and the plaster in order to let hot air circulate. Fragments of flat tiles were revealed in abundance during the excavations (pl. XIX_{20-24, 29, 31}). The excavated material contains several bricks (pl. XIX₃₀), as well as fragments of ceramic pipes (pl. XIX₂₆₋₂₈).

